პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საგზოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 37-ე წელი № 66 (10763) | სამშაბათი, 19 მარტი, 1957 წ. | ფასი 20 კაპ.

დღეს ნომერში:

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამერიკული გაზეთის „გრენდ რეპიდს ჰერალდის“ რედაქციის კითხვებზე (1-ლი გვერდი).

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად (1-ლი გვერდი).

კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების მძლავრი დემონსტრაცია. — **ვლ. თორდუა.** — შენს გახარებას; **ა. კუსრაშვილი.** — ახალ უბანში; **ი. თედიაშვილი.** — პირველი ბიულეტენები (მე-2 გვერდი).

ოსი ხალხის კულტურის ზეიმი. **გ. სანაკოევი.** — ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობისათვის; **ფ. გაგლოევი.** — ჩვენი მწერლები; **რ. ასაევი.** — სალამი; **ბ. სანაკოევი.** — ოსი მხატვრები; **კ. კოჩიევი.** — სტალინირის სახელმწიფო თეატრი (მე-3 გვერდი).

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის განცხადება ევრატომისა და „ნატოს“ შექმნის გეგმების შესახებ (მე-4 გვერდი).

უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

პარტიისა და ხალხის უძლეველი ერთიანობა

საბჭოთა ადამიანების ცხოვრებაში არის დღეები, რომლებიც განსაკუთრებული სიხარულისა და ზეიმის ვითარებაში აღინიშნება. ასეთთა რიცხვს მიეკუთვნება ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღე. არჩევნები ჩვენს დიად სამშობლოში საყოველთაო-სახალხო დღესასწაულია, რადგან ისტორიას არ ახსოვს ასეთი ნამდვილად თავისუფალი და ნამდვილად დემოკრატიული არჩევნების სხვა მაგალითი.

კვირას, 17 მარტს, ზუსტად ექვს საათზე ჩვენი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ გაღო საარჩევნო უბნების კარები. კეთილი ნების ადამიანები — მუშები, კოლმეურნე გლეხები, ინტელიგენტები, შეიარაღებული ძალების მებრძოლები სიხარულისა და სიამაყის გრძნობით აძლევდნენ ხმას თავიანთ წარმომადგენლებს ხელისუფლების ადგილობრივ ორგანოებში — კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს.

არჩევნებმა ერთხელ კიდევ ცხადყო კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის უძლეველობა. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად არჩეულ იქნნენ სხვადასხვა პროფესიის შემოქმედებითი შრომის ადამიანები, კომუნიზმის აქტიური მშენებლები. მათ შორის არიან ისინი, რომლებიც იარაღით ხელში იბრძოდნენ საბჭოთა ხელისუფლებისათვის, რომლებიც ომობდნენ, სისხლს ღვრიდნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, რომლებიც ბედდნენ და გამოჭედეს გამარჯვება ჩვენი ქვეყნის მტრებზე.

მიდიოდნენ რა საარჩევნო უოუთბოთან ადამიანთა ფალი მოქალაქეობრივი უფლების განსახორციელებლად, ამომრჩევლები წარმოთქვამდნენ პატრიოტულ სიტყვებს. მადლობას უძღვნიდნენ მშობლიურ კომუნისტურ პარტიას, საბჭოთა ხელისუფლებას ბედნიერი და საამური ცხოვრებისათვის.

ქუთაისის № 13 საარჩევნო უბნის ამომრჩეველმა, რკინიგზელმა ნ. ქანიშვილმა ხმის მიცემისას განაცხადა:

— ჩვენი სამშობლო არასოდეს არ ყოფილა ისე ძლიერი, როგორც დღეს არის. სიამოვნებით ვაძლევ ხმას სახალხო კანდიდატებს, ხმას ვაძლევ სამშობლოს, მშვიდობას, კომუნიზმს!

ეს სიტყვები საქართველოს მშრომელების ფიქრებისა და მისწრაფებების გამომხატველია. ყველგან, ყველა საარჩევნო უბანში მშრომელები ხმას აძლევდნენ საბჭოთა ხელისუფლებას, კომუნისტურ პარტიას, რომლებმაც ჩვენი რესპუბლიკა ახალი ცხოვრების ფართო გზაზე გამოიყვანეს.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში საქართველოში შეიქმნა მოწინავე ტექნიკით აღჭურვილი მეტალურგიული მრეწველობა, მანქანათმშენებლობა, ჩარხმშენებლობა, განვითარების მაღალ დონეს მიაღწია საფეიქრო, მსუბუქმა და კვების მრეწველობამ. 1956 წელს 1913 წელთან შედარებით მრეწველობის საერთო პროდუქციის გამოშვება რესპუბლიკაში გადიდდა 29,6-ჯერ, მრავალდარგოვანი და მაღალნაყოფიერი გახდა საქართველოს სოფლის მეურნეობა, რომელშიც სულ უფრო ფართოდ ინერგება მექანიზაცია. ახალ მწვერვალებს მიაღწია საქართველოს კულტურამ.

საბჭოთა ადამიანები არასდროს არ ემაყოფილდებიან მიღწეულით. საქართველოს მშრომელების წინაშე ახლა დგას კომუნისტური მშენებლობის დიდი და პასუხსაგები ამოცანები, რომლებიც დასახა სკკპ XX ყრილობამ. რესპუბლიკის მშრომელები, ხმას აძლევდნენ რა სახალხო ბლოკის კანდიდატებს, პირობას დებდნენ, რომ დაუღლელად იბრძოლებენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განსახორციელებლად.

8 და 10 მარტს ასეთივე დიდი პოლიტიკური და შრომითი აღმავლობის ვითარებაში ჩაიარა ადგილობრივი საბჭოების არჩევნებმა რვენს მომმე რესპუბლიკებში. საბჭოთა ადამიანებმა ერთსულოვნად აირჩიეს ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის დიდი მონაპოვრის — მშობლიური საბჭოთა ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოები.

ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოები არჩეული არიან. ახლა ამოცანა ის არის, რომ დეპუტატები ამთავითვე შეუდგნენ მუშაობას, იბრძოლონ ამომრჩეველთა განაწესის პირნათლად შესრულებისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დეკემბრისა და თებერვლის პლენუმებმა, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეექვსე სესიამ მიიღეს მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომლებიც მიმართულია საბჭოთა დემოკრატიის შემდგომი განვითარებისაკენ, სახალხო მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ძირფესვიანად გაუმჯობესებისაკენ, კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანების წარმატებით შესრულებისაკენ. ადგილობრივი საბჭოების დეპუტატების ვალია თავიანთ ყოველდღიურ მუშაობაში იხელმძღვანელონ ამ დოკუმენტებით, არ დაზოგონ ძალები მათ განსახორციელებლად.

კომუნისტური მშენებლობის დიადი ამოცანები მოითხოვს მშრომელთა შემოქმედებითი აქტივობისა და ინიციატივის უფრო გაძლიერებას, ამომრჩევლებთან დეპუტატების კავშირის განმტკიცებას. ადგილობრივმა საბჭოებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ სამეურნეო და კულტურული მშენებლობის კონკრეტულ საკითხებს. მათი ღვაძლი საქმეა იზრუნონ ქალაქებისა და სოფლების, რაიონული ცენტრებისა და დაბების კეთილმოწყობისათვის.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ აღნიშნულია, რომ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მეორმოცე წლისთავი უნდა ჩატარდეს როგორც საერთაშორისო მნიშვნელობის მქონე საყოველთაო-სახალხო დღესასწაული, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XX ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებათა წარმატებით განხორციელებისათვის ხალხის მილიონიანი მასების შემოქმედებითი აქტივობის მობილიზაციის ნიშნით. ადგილობრივმა საბჭოებმა, თავიანთი წვლილი უნდა შეიტანონ ამ ამოცანის პირნათლად განხორციელების საქმეში.

რესპუბლიკის მშრომელები ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოებისაგან მოელიან მუშაობის მკვეთრ გაუმჯობესებას. ხალხის ნდობა ახალ გადიდებულ პასუხისმგებლობასა და მოვალეობას აკისრებს დეპუტატებს. მათ უნდა გაამართლონ ეს ნდობა.

საქართველოს სსრ მეოთხე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მესამე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სესია გაიხსნება 20 მარტს, დილის 11 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომების დარბაზში.

დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა წარმოებს ყოველდღე დილის 9 საათიდან 22 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის შენობაში, ოთახი № 12, ტელ. 3-15-43.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 20 მარტს, დილის 10 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომების დარბაზში.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი

ამერიკული გაზეთის „გრენდ რეპიდს ჰერალდის“ რედაქციის კითხვებზე

ამერიკული გაზეთის „გრენდ რეპიდს ჰერალდის“ რედაქციამ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველ მდივანს ნ. ს. ხრუშჩოვს მიმართა თხოვნით უპასუხოს ზოგიერთ კითხვაზე.

ქვემოთ ქვეყნდება ნ. ს. ხრუშჩოვის პასუხი ამერიკული გაზეთის „გრენდ რეპიდს ჰერალდის“ რედაქციის კითხვებზე.

1. **კითხვა:** საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი აცხადებს, რომ შეერთებული შტატები ემზადებიან ატომგულის იარაღით ომის წარმოებისათვის, ნიშნავს თუ არა ამ შემთხვევაში ეს განცხადება, რომ თქვენ, როგორც კომუნისტური პარტიის პირველ მდივანს, თუ მხედველობაში მივიღებთ საბჭოთა კავშირსა და შეერთებულ შტატებს შორის იდეოლოგიურ წინააღმდეგობათა თქვენს შეფასებას, გარდუვალად მიგაჩნიათ ომი?

პასუხი: უწინარეს ყოვლისა მე მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ განცხადებებს ატომგულის იარაღით ომისათვის ამერიკის შეერთებული შტატების მზადების შესახებ აკეთებენ თვით შეერთებულ შტატებში. ასეთი განცხადებებით გულახდილად გამოდის ზოგიერთი ამერიკელი სამხედრო და პოლიტიკური მოღვაწე. ცნობილია აგრეთვე, რომ ამერიკის შეერთებული შტატები დაჟინებით უარს ამბობენ დადონ საბჭოთა კავშირის მიერ შეთავაზებული შეთანხმება ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვის შესახებ.

ნიშნავს თუ არა ეს, რომ ომი გარდუვალია? არა, არ ნიშნავს. ჩვენ მიგვაჩნია, რომ ომის ფატალური გარდუვალობა არ არსებობს. ეგვიპტის ამასწინანდელმა ამბებმა კვლავ დაადასტურეს, რომ ძალებს, რომლებიც მშვიდობის შენარჩუნებისათვის იბრძვიან, შეუძლიათ ალაგმონ აგრესორები და თავიდან აიცილონ ომი.

მშვიდობის შენარჩუნება და განმტკიცება დამოკიდებულია, რა თქმა უნდა, უწინარეს ყოვლისა დიდი სახელმწიფოების პოლიტიკაზე. რაც შეეხება საბჭოთა კავშირს, ჩვენ ვეყრდნობით იმ ისტორიულად ჩამოყალიბებულ ფაქტს, რომ დედამიწაზე ერთდროულად არსებობენ როგორც კაპიტალისტური, ისე სოციალისტური ქვეყნებიც. თუმცა ისინი ერთმანეთისაგან განსხვავდებიან თავიანთი საზოგადოებრივი სისტემებით და იდეოლოგიით, თვით ცხოვრება გვიკარნახებს მათ შორის მშვიდობიანი ურთიერთობის საჭიროებას. ვიცავთ რა საბჭოთა სახელმწიფოს შემქმნელის ლენინის მოძღვრებას, ჩვენ მხარს ვუჭერთ სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემის ქვეყნების მშვიდობიან თანაარსებობას. საბჭოთა კავშირი ამასთან ისწრაფვის განავითაროს ურთიერთ ინტერესებისათვის საქმიანი და კულტურული კავშირურთიერთობა ყველა ქვეყანასთან, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებთანაც, რადგან, ჩვენი აზრით, ასეთი კავშირურთიერთობის განვითარება ხელს შეუწყობდა ნორმალური ურთიერთობის მოწესრიგებას და ნდობის განმტკიცებას სახელმწიფოებს შორის.

თუ დასავლეთის სახელმწიფოები, და უწინარეს ყოვლისა ამერიკის შეერთებული შტატები, აგრეთვე დაიცავენ თავიანთ პოლიტიკაში მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპს, შეიძლება მტკიცედ ითქვას, რომ მშვიდობა შენარჩუნებულ და განმტკიცებულ იქნება.

2. **კითხვა:** იყო თუ არა ოდესმე ისეთი პერიოდი უკანასკნელი 11 წლის განმავლობაში, როდესაც საბჭოთა კავშირი გრძნობდა, რომ ომის საფრთხე განსაკუთრებით დიდი იყო?

პასუხი: სამხედრო კონფლიქტების წარმოშობის საფრთხეს ქმნის ის, რომ დასავლეთის სახელმწიფოები უკვე მრავალი წლის მანძილზე ახორციელებენ გამალებული შეიარაღების პოლიტიკას, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას. როგორც ცნობილია, ზოგიერთი თვალსაჩინო ამერიკელი მოღვაწე თვითონ აცხადებდა, რომ ასეთ პოლიტიკას წარსულში უკვე არა ერთხელ მიუყვანია მსოფლიო „ომის ზღვართან“.

მაგრამ ცნობილია, რომ, როდესაც „ძალის პოზიცია“ განზე გადაიდო და გამოყენებულ იქნა მოლაპარაკების მეთოდი, მოხერხდა ომის საშიში კერების ლიკვიდირება, მაგალითად, კორეასა და ინდოჩინეთში. როდესაც 1955 წლის ზაფხულში ჟენევაში გაიმართა ოთხი დიდი სახელმწიფოს მთავრობათა მეთაურების თათბირი, მსოფლიო მოწმე გახდა საერთაშორისო დაძაბულობის გარკვეული შენელებისა. სამწუხაროდ, ამ პერიოდმა დიდ ხანს ვერ გასტანა. ეგვიპტეზე თავდასხმამ და ზოგიერთი სახელმწიფოს შემდგომმა ცდებმა შეავსონ მათ მიერვე გამოგონილი „ვაკუუმი“ არაბთა აღმოსავლეთში, კვლავ მნიშვნელოვნად გაამწვავა საერთაშორისო ვითარება, შეუქმნა რა მშვიდობას სერიოზული საფრთხე ამ რაიონში.

არა გვაქვს საფუძველი ეჭვი შევიტანოთ, რომ აქაც მოწესრიგებელი პრობლემების გადაჭრა შეიძლება მიღწეულ იქნეს ერთადერთი გზით — ყველა დაინტერესებული მხარის მოლაპარაკების გზით.

3. **კითხვა:** ჩვენი ორი ქვეყნის ურთიერთობაში რომელი ასპექტი წარმოადგენს, თქვენი აზრით, ყველაზე მეტ საფრთხეს მშვიდობისათვის?

პასუხი: ცხადია, რომ მშვიდობის საქმეს სერიოზულ საფრთხეს უქმნის შეერთებული შტატების „ძალის პოზიციის“ პოლიტიკა მისი ყველა გამოვლინებით — გაიარაღებაზე უარის თქმა, გამალებული შეიარაღება, სამხედრო ბლოკებისა და ბაზების შექმნა სხვის ტერიტორიებზე, დასავლეთ გერმანიის რემილიტარიზაცია, სხვა ქვეყნების საშინაო საქმეებში ჩარევის ცდები, მისწრაფება ხელი შეუშალონ საერთაშორისო სავაჭრო, ეკონომიური და კულტურული კავშირურთიერთობის განვითარებას.

ასეთი პოლიტიკა, რა თქმა უნდა, არ შეესაბამება საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და სახელმწიფოთა ურთიერთობის ნორმალიზაციის ამოცანას.

ჩვენ ვემხრობით საერთაშორისო დაძაბულობის შენელებას, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესებას, მიგვაჩნია რა, რომ ეს შეესაბამება როგორც საბჭოთა, ისე ამერიკელი ხალხის ინტერესებს. სწორედ ამით ვხელმძღვანელობდით, როდესაც ჩვენ 1956 წლის იანვარში ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობას შევთავაზეთ მეგობრობისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება ჩვენს ქვეყნებს შორის. სამწუხაროდ, საბჭოთა კავშირის ამ ნაბიჯს, აგრეთვე ჩვენს მთელ რიგ სხვა წინადადებებს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის გაუმჯობესების შესახებ ჯერჯერობით დადებითად არ მოეკიდა ამერიკის მთავრობა.

ეჭვი არ არის, რომ თუ ორივე ჩვენი ქვეყანა გამოიჩენს მზადყოფნას — ეცადოს სსრ კავშირისა და ამერიკის შეერთებული შტატების ურთიერთობის მოწესრიგებას და მიიღებს ამისათვის საჭირო ღონისძიებებს, საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობის გაუმჯობესება უზრუნველყოფილი იქნება, ხოლო ეს თავის მხრივ კეთილნაყოფიერ გავლენას მოახდენს მთელ საერთაშორისო ვითარებაზე.

საყოველთაო-სახალხო დღესასწაულის აღსანიშნავად

როგორც კი კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ეზოში მოხვდებით, თვალში გეცემათ შეჯიბრების მაჩვენებელთა დაფების სიმრავლე. ლამაზად გაფორმებულ კედელზე ჰკიდია საამქროებსა და უბნებს შორის შეჯიბრების, აგრეთვე ინდივიდუალური და ოსტატთა შორის შეჯიბრების დაფები.

ყველა ეს შეჯიბრება დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავისადმი არის მიძღვნილი. ჩარხმშენებელთა მთელი კოლექტივის მისწრაფებაა ღირსეული, სასახელო შრომითი საქმეებით აღნიშნოს დიადი ისტორიული თარიღი.

ამიტომ გასაგებია ის ღრმა ინტერესი, რომელიც გამოიწვია ჩარხმშენებლებში სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებამ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ.

— გულში ჩამწვდა დადგენილების სიტყვები, — ამბობს მი-9 მექანიკური საამქროს უფროსი ევტიხი ქაბზინაძე, — წამით გონების თვალი გადავავლე მთელ ჩვენს განვლილ გზას, ბრძოლებსა და გამარჯვებებს, სიძნელეებსა და წარმატებებს. რამდენი რამ არ განვიცადეთ ამ ხნის მანძილზე — სიმწარეც, სიტკბოც და თუ ამ გზას, კომუნისტური პარტიისა და ჩვენი დიდი ბელადის ლენინის მიერ ნაჩვენებ გზას დასაწყისიდანვე, საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი წლებიდანვე მოჰყვებოდა მამაჩემი, როგორც თბილისის რკინიგზის სახელოსნოების მუშა, მე ამ დიად და ნათელ გზაზე მაშინ გამოვედი, როცა ჯერ კიდევ პირტიტველა ჭაბუკი ვიყავი და პირველად ვსწავლობდი ზეინკლობას კამოს სახელობის საფაბრიკო-საქარხნო სასწავლებელში. მას შემდეგ განუხრელად მივყვები ამ გზას... 1933 წელს დავამთავრე სასწავლებელი და აქ, ამ ქარხანაში ზეინკლად დავიწყე მუშაობა. ოცდახუთი წელი ხდება, რაც აქა ვარ. ჯერ ოსტატი გავხდი, მერე უფროსი ოსტატი, შემდეგ საამქროს უფროსის მოადგილე და აი უკვე რვა წელიწადია საამქროს უფროსი ვარ.

— პარტიამ ფართოდ დაუჭირა მხარი მასების ინიციატივას საოქტომბრო შეჯიბრების გაჩაღებაში, — განაგრძობს იგი, — უკვე რამდენიმე თვეა ჩვენი საამქროს კოლექტივი დიადი დღესასწაულის აღსანიშნავ შეჯიბრებაშია ჩაბმული და იანვრის შედეგების მიხედვით საამქროთა შორის პირველი ადგილი დაიკავა.

ქარხნის სხვა მუშებთან ერთად დიდი მოწონებით შეხვდა პარტიის ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას ცნობილი ხოვატორი ხარატი პ. ზუბრიცკი.

— მოხარული ვარ, — თქვა მან, — რომ ჩემი ცხოვრების 46 წლიდან 30 წელი წარმოებაში გავატარე. სიამაყეს მგვრის იმის შეგნება, რომ ჩემი წვლილიც ურევია იმ დიდ მიღწევებში, რომლებიც საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მოიპოვა 40 წლის მანძილზე.

ჩარხმშენებელთა რადიოკვანძი პერიოდულად გადასცემს ცნობებს შეჯიბრების მიმდინარეობაზე. უბნებს შორის დაწინაურდნენ უფროსი ოსტატის პ. რევინისა და ოსტატ შ. კომახიძის, უფროსი ოსტატის ა. კლიუევისა და ოსტატ ი. შუბლაძის უბნები.

ახლო მომავალში გაიმართება ჩარხმშენებლების შეხვედრა ძველ რევოლუციონერებთან.

ჩაება რა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის აღსანიშნავ სოციალისტურ შეჯიბრებაში, თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის საქსოვი წარმოების სანემსე განყოფილების კოლექტივი წარმატებით ასრულებს ნაკისრ ვალდებულებას **სურათზე:** სანემსე განყოფილების აგიტატორი ირა რუხაძე მუშებს აცნობს სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებას დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-40 წლისთავის დღესასწაულისათვის მზადების შესახებ.

სამხრეთ ოსეთის კულტურის მიღწევათა დათვალიერება

დიდი ოქტომბრის მონაპოვარი — საბჭოთა კავშირის ხალხთა შინაარსით სოციალისტური და ფორმით ეროვნული კულტურა წარმოადგენს მტკიცე საფუძველს ჩვენს ქვეყანაში ლიტერატურისა და ხელოვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის. მრავალეროვან საბჭოთა ქვეყანაში არ არის არც ერთი ხალხი, რომელსაც არ შეეჭქონდეს თავისი წვლილი სოციალისტური კულტურის საგანძურში. ყველა რესპუბლიკის ეროვნული კულტურის განვითარება მტკიცედ არის დაკავშირებული სხვა მოძმე ერების კულტურასთან. ისინი მჭიდრო კავშირში არიან, ერთმანეთს უზიარებენ ლიტერატურის, ხელოვნების და საერთოდ კულტურის დარგში მიღწეულ წარმატებებს. ამიტომაც საბჭოთა ლიტერატურა და ხელოვნება მთელ მსოფლიოში ყველაზე იდეური და მოწინავეა.

ლიტერატურისა და ხელოვნების პარტიული ლენინური პრინციპების ერთგული საბჭოთა მწერლები, ხელოვნების მუშაკები, ხელმძღვანელობენ რა სოციალისტური რეალიზმის მეთოდით, ქმნიან ახალ ნაწარმოებებს, ახალ-ახალი გამარჯვებებისაკენ მიჰყავთ საბჭოთა კულტურა. ჩვენს დიად ქვეყანაში ტრადიციად იქცა მოძმე ერების ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადების მოწყობა მოსკოვში, რაც განსაკუთრებით უწყობს ხელს მრავალეროვანი საბჭოთა კულტურის მძლავრ აღმავლობას, შემოქმედებითი მუშაკების პროფესიულ დაოსტატებას.

წელს გათვალისწინებულია მოსკოვში მოეწყოს საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა. ამ დეკადისათვის მზადების, მოპოვებული მიღწევების, ახალი შემოქმედებითი ძალების გამოვლინების საუკეთესო დემონსტრაცია იყო აჭარის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, რომელიც წელს იანვარში მოეწყო ქალაქ თბილისში.

დღეს იწყება მეორე მნიშვნელოვანი ღონისძიება — თბილისის მარჯანიშვილის სახელობის თეატრში იხსნება სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა.

მშობლიური კომუნისტური პარტიის ბრძნული ხელმძღვანელობით საბჭოთა ხელისუფლების წლებში ჩვენი სამშობლოს ხალხთა ერთიან ოჯახში, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით, ქართველი ერის ძმური მზრუნველობით გაიფურჩქნა და აყვავდა სამხრეთ ოსეთის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, კულტურა. აქ ამუამად ხალხის მატერიალური და სულიერი სიმდიდრის განუხრელი ზრდის საქმეს ემსახურება უამრავი სკოლები, უმაღლესი სასწავლებელი, სამეცნიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებები.

ოსური მხატვრული ლიტერატურა XIX საუკუნეში წარმოიშვა. მანამდის მშრომელი ხალხი თავის ნატვრას, ოცნებას და ფიქრს ხალხურ ზეპირსიტყვაობაში აქსოვდა, ოსური ფოლკლორის ქვაკუთხედს წარმოადგენს განაკმული ნართების ეპოსი. იგი ქართულ ენაზე ითარგმნა 1949 წელს. თავისი მხატვრული ღირსებით „ნართები“ ეშმარიტად დგას მსოფლიოს ხალხური ეპოსის საუკეთესო ნიმუშების გვერდით.

ოსური ლიტერატურისა და ხალიტერატურო ენის ფუძემდებელია ოსი ხალხის დიდი მწერალი, ფერწერის ოსტატი, გამოჩენილი საზოგადო მოღვაწე, რევოლუციონერი-დემოკრატი კოსტა ხეთაგუროვი, რომელმაც მომდევნო თაობებს დიდი შემოქმედებითი ტრადიციები დაუტოვა. ამ ტრადიციებს ღირსეულად განაგრძობენ თანამედროვე ოსი მწერლები.

მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ოსური ლიტერატურის განვითარება. განსაკუთრებული აქტივობა იგრძნობა უკანასკნელ წლებში. სამხრეთ ოსეთის მწერლებმა შექმნეს რამდენიმე საინტერესო ნაწარმოები — რომანები, მოთხრობები, ლექსები, პოემები, რომლებიც მკითხველებმა გულთბილად მიიღეს. ამავე დროს სამხრეთ ოსეთის მწერლებს ჯერ კიდევ ბევრი აქვთ გასაკეთებელი იმისათვის, რომ სრულყოფილად ასახონ მუშათა კლასის, გლეხობის, საბჭოთა ინტელიგენციის მრავალფეროვანი ცხოვრება, საბჭოთა ხალხის „გმირული შრომა და ბრძოლა კომუნიზმისათვის.

ბევრი საინტერესო დადგმა ნახა მაყურებელმა სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრში. უკანასკნელ წლებში ამ თეატრის კოლექტივს შეემატნენ ახალი შემოქმედებითი ძალები, რომლებმაც მაყურებლის სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს. ახლა მთავარია რეპერტუარის გონივრული შერჩევა, განსაკუთრებული ყურადღება თანამედროვეობის ამსახველი მაღალიდეური და მხატვრულად სრულყოფილი სპექტაკლების შესაქმნელად, რაც პირველ რიგში უსათუოდ ესაჭიროება ამ თეატრის ქართულ დასს.

ნაყოფიერად მუშაობს სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი. მდიდარ ხალხურ შემოქმედებაზე დაყრდნობით ანსამბლმა შეძლო შეერჩია საუკეთესო რეპერტუარი. ანსამბლის შემოქმედებითი კოლექტივი არ დაკმაყოფილდა მარტო ოსური სიმღერებითა და ცეკვებით, მის პროგრამაში შეტანილია მომმე რესპუბლიკების სიმღერებისა და ცეკვების საუკეთესო ნიმუშები.

სამასზე მეტი ნაწარმოებით წარმოდგებიან დეკადაზე სამხრეთ ოსეთის ასსრ მხატვრები, რომლებმაც თავიანთი ნამუშევრებით უკანასკნელ წლებში დამთვალიერებელთა სამართლიანი მოწონება დაიმსახურეს.

დეკადის დღეებში მოეწყობა სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა შეხვედრები თბილისის შემოქმედებით მუშაკებთან. საჭიროა ეს შეხვედრები იყოს საქმიანი, გაიშალოს მეგობრული, პრინციპული კრიტიკა და თვითკრიტიკა. შემოქმედებითმა მუშაკებმა ერთმანეთს უნდა გაუზიარონ თავიანთი გამოცდილება და ამით ხელი შეუწყონ ლიტერატურისა და ხელოვნების საერთო აღმავლობას.

სამხრეთ ოსეთის ასსრ ლიტერატურისა და ხელოვნების ნაწარმოები, რომელიც დაიმსახურებს მაღალ შეფასებას, შეტანილ იქნება საქართველოს სსრ ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის პროგრამაში, რომელიც მოსკოვში მოეწყობა.

თბილისელი მაყურებელი დიდი აღფრთოვანებით შეხვდა სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების მუშაკთა ჩამოსვლას დედაქალაქში. ეს აღფრთოვანება ბუნებრივია, მაგრამ იგი სრულიადაც არ ამცირებს იმ დიდ მოთხოვნილებას, რომელსაც ჩვენი მაყურებელი, მკითხველი უყენებს თეატრს, მწერლებს, მხატვრებს და ხელოვნების სხვა მუშაკებს.

ჩვენი კულტურა გამარჯვებული სოციალიზმის კულტურაა. იგი წარმოადგენს მშრომელთა კომუნისტური აღზრდის მძლავრ საშუალებას, ამდიდრებს საბჭოთა ადამიანის სულიერ სამყაროს, აღაფრთოვანებს მშრომელებს კომუნიზმის მშენებლობის დიადი საქმისათვის ეჭვი არ არის სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა, ამ დეკადაზე მოპოვებული წარმატება და მიღებული გამოცდილება სტიმული გახდება ახალი შემოქმედებითი აღმავლობისათვის, მშრომელთა გაზრდილ კულტურულ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილებისათვის.

დეკადის დღიური

დღეს, 19 მარტს, საღამოს 8 საათზე მარჯანიშვილის სახელობის თეატრში სტალინირის კოსტა ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის ოსური კოლექტივი მაყურებელს უჩვენებს ვლადიმერ გაგლოევის პიესას „ზალინას“.

როლებს ასრულებენ საქართველოს სსრ სახალხო არტისტი დ. მამიევი, საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტები ზ. გაგლოევა, ბ. ცხოვრებოვი, ზ. ტუეევი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ დამსახურებული არტისტი გ. ტაუგაზოვი, მსახიობები ვ. გაგლოევა, ს. მარგიევი, ი. ბელდიევი, კ. ჩოჩიევი, ი. ტეხოვი, დ. ფარასტაევი, ვ. ჩაბიევა.

სპექტაკლის დადგმა ეკუთვნით რეჟისორებს, საქართველოს სსრ დამსახურებულ არტისტს ს. გაზიევს და გ. ხუგაევს, მხატვარია ს. კოჩიევი, კომპოზიტორი — დ. ხანანოვი.

სპექტაკლი ასახავს სამხრეთ ოსეთის ერთ-ერთი მთიანი კოლმეურნეობის ფერმაში მომუშავე ადამიანების ცხოვრებას.

დღეს 12 საათზე საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის კლუბში სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადასთან დაკავშირებით შედგება პოეზიის საღამოს სხდომა. განხილული იქნება ოსი პოეტების ლექსები.

საქართველოს სურათების სახელმწიფო გალერიაში 17 მარტს გაიხსნა ოსი მხატვრების ნაწარმოებებისა და სამხრეთ ოსეთში გამოცემული წიგნების გამოფენა.

კომუნისტური პარტიისადმი ერთგულების მძლავრი დემონსტრაცია

★

მეზღაპრეთა ქალაქში

რუსთავის მეტალურგები, ქიმიკოსები, მეცენტრეები, მშენებლები და მემონტაჟეები სამშობლოს საკეთილდღეოდ გაწეული მაღალნაყოფიერი მუშაობის შემდეგ ადრიანად გამოაღვიძა სურვილმა დილასვე მიეცათ ხმა საქალაქო საბჭოს დეპუტატობის თავიანთი ღირსეული კანდიდატებისათვის.

№ 11 საარჩევნო უბანში ყველაზე ადრე გამოცხადდა 92 წლის ანა სილაგაძე. ყუთში საარჩევნო ბიულეტენის ჩაშვების შემდეგ მან განაცხადა:

— სიხარულით მივეცი ხმა ჩვენი ქალაქის მშრომელთა საუკეთესო წარმომადგენლებს, რომლებიც მე შვილებად, შვილიშვილებად და შვილთა შვილიშვილებად მეკუთვნიან და ნამდვილად ღირსნი არიან ატარონ ხალხის რჩეულთა საპატიო სახელი.

შემდეგ საარჩევნო ყუთთან მიდის ძველი კომუნისტი, პერსონალური პენსიონერი ი. ხვედელიძე. მან სამშობლოს ათი შვილი აღუზარდა. ზოგი მეტალურგიულ ქარხანაში მუშაობს, ზოგი მშენებლობებზე, ზოგი კი უმაღლეს სასწავლებლებსა და სკოლებში სწავლობს.

აი № 3 საარჩევნო უბანი. ცნობილ ჩქაროსან მეფოლადეს გ. სიგუას სიხარულით უგებებიან ამომრჩევლები. მარტის განვლილ დღეებში მან 180 ტონამდე ზეგეგმითი ფოლადი გამოადნო, ხოლო მთლიანად მარტენის საამქრომ — 1.000 ტონაზე მეტი.

წარმატებით მოეწყო არჩევნები ქალაქის დანარჩენ საარჩევნო უბნებშიც. ნაშუადღევისათვის ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 80 პროცენტზე მეტს.

იმ დღეს გორში...

გორელ ფეიქართა დაბაში ბოლო ხანებში ბევრი რამ აშენდა და გაკეთდა. ქუჩა, რომლითაც მიიჩქარიან საარჩევნო უბნისაკენ ოსტატის თანაშემწე კარლო ბესტავაშვილი და მისი მეუღლე ლიზა კარპოვა, ადგილობრივი საბჭოების წინა არჩევნების დროს სრულებით არ იყო, არ იდგა აქ არც საშუალო სკოლის ეს შენობა, სადაც ახლა მე-6 საარჩევნო უბანია მოთავსებული. აქ და მე-7 საარჩევნო უბანში გორის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიდნენ მეფთილე ლუბა ტისენკო, მრთველი ციალა ნოზაძე, მქსოველი ეკატერინე ივანენკო და გორის სხვა მოწინავე ადამიანები.

ნამდვილი ზეიმი იყო არჩევნების დღეს გორის რაიონის სოფლებში. ხიდისთავის კოლმეურნეობის შენობაში მოთავსებულ საარჩევნო უბანში ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდნენ ამომრჩევლები. 103 წლის კოლმეურნემ მარიამ ტლაშაძემ საარჩევნო ყუთში ბიულეტენის ჩაშვებისას თქვა:

— ძნელი იყო წარსულში ჩვენი ცხოვრება! საუკუნეს გადავაბიჯე და ასე მგონია ახლა დავიბადე. რადგან სწორედ საბჭოთა ხელისუფლების დროს გავხდი ნამდვილად სვებედნიერი ადამინი. (საკ. კორ.).

თბილისი. ორჯონიკიძის რაიონის № 41 საარჩევნო უბანი. ხმას აძლევენ ახალგაზრდა ამომრჩევლები — სტუდენტები (მარცხნიდან) თამარ სტარუხინა, ალექსი კიმი, ოლგა ლი და ვერა ხაჯიევა.

ფოტო შ. გოქაძისა.

ახალ უბანში

გაზაფხული კარზე მოგვადგა. მზეც სულ უფრო ხშირად არღვევს ზამთრისაგან შემორჩენილი ღრუბლების საბურველს და ოქროსფერ სხივებში ჰხვევს თბილისის ქუჩებს, მოედნებს, ბაღნარებს. სადღესასწაულო იერი აქვს დედაქალაქს. ქუჩები სავსეა ხალხით. ადამიანებს საზეიმო განწყობილება დაუფლებია.

დღეს კვირაა, 17 მარტი, ხალხი ადგილობრივი საბჭოების დეპუტატებად ირჩევს თავის სახელოვან შვილებს. ამ დღეს განსაკუთრებული გამოცოცხლებაა ცაგერის ქუჩაზე სამეცნიერო სარესტავრაციო სახელოსნოს შენობაში, სადაც მოთავსებულია ორჯონიკიძის რაიონის № 40 საარჩევნო უბანი. ამომრჩევლები დილაადრიან მოსულან აქ.

აი საარჩევნო ყუთს ბიულეტენებით ხელში მიუახლოვდა ამომრჩეველი ნოე გოგორიშვილი.

— მე საბურთალოს ამ კუთხის ძველი მკვიდრი გახლავართ, — უამბობდა ა. გოგორიშვილი ხმის მიცემის შემდეგ იქვე შეკრებილ ახალგაზრდებს. — სულ რაღაც ათიოდე წლის წინათ აქაურობა ხელის გულივით იყო მოტიტვლებული, ახლა კი თქვენცა ხედავთ, რანაირი შენობებია წამოჭიმული.

ნოემ ჩაიცინა და განაგრძო:

— კომბაინის ქუჩაზე რომ რკინიგზელთა ორსართულიანი სახლია, ხომ იცით? ამ რამდენიმე წლის წინათ ის აქ სამაგალითო სილამაზის შენობად ითვლებოდა. ახლა კი ამ ხუთ-ხუთ სართულიანი სახლების გვერდით საცოდავ ქოხად გამოიყურება. გაგებული მაქვს, არც სხვებს მოსწონთ, დანგრევას უპირებენო. და აი, დღეს იმიტომ მივეცი ხმა ასე ხალისით ჩვენს მოწინავე ადამიანებს, რომ დარწმუნებული ვარ აქაურობა კიდევ უფრო გამშვენიერდება და გალამაზდება.

საბურთალოს ამ კუთხის მცხოვრებთ მტკიცედ სწამთ ეს. უკანასკნელი ოთხი-ხუთი წლის განმავლობაში პირდაპირ მათ თვალწინ გაიზარდა და გადასხვაფერდა აქაურობა. აშენდა 64-ე საშუალო სკოლის შენობა, თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის საერთო საცხოვრებლის კორპუსები, ხრამჰესის სამმართველოს, სამგზავრო ავტოტრანსპორტის № 1 სამმართველოს, ვაჭრობის ინსტიტუტის მოსკოვის ფილიალის კორპუსები, აბრეშუმის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა საცხოვრებელი სახლები, ინდივიდუალურ მშენებელთა ლამაზი კოტეჯები. ელვის სისწრაფით იზრდება ქალაქის ეს ახალი კუთხე. № 40 საარჩევნო უბანიც ახლად შექმნილია, ალბათ ამიტომ ყოერს ასეთი განსაკუთრებული სითბოთი ამომრჩეველთა სიტყვებიც: „ჩვენი საარჩევნო უბანი“.

ამომრჩევლები ბაასით მიჰყვებიან ფართო ქუჩებს. ქუჩების გასწვრივ ახალი, დაუმთავრებელი შენობების კორპუსები აღმართულან. უზარმაზარი ამწეები ქედმაღლურად გადმოჰყურებენ დაბლა დაგროვილ მორებს, ცემენტისა და აგურის გროვებს, ბეტონსარევ მანქანებს, ლამაზად გათლილ ტუფის ქვებს. მათ შორიახლოს ექსკავატორები სხვა შენობებისათვის ამზადებენ სამშენებლო მოედნებს. ამ დიდი მშენებლობის ფონზე კი ცეცხლისფრად ელავენ მგზნებარე ლოზუნგები: „ყველანი არჩევნებზე“, „გაუმარჯოს კომუნიზმის მშენებელ საბჭოთა ხალხს!“.

ა. კუსრაშვილი.

★

ისინი ხმას აძლევდნენ ბრწყინვალე მომავალს

ალისფერ ტილოებზე წარწერილი სიტყვები „კეთილი იყოს თქვენი მობრძანება!“ სტუმართმოყვრულად იწვევენ ქალაქ-კურორტის სოხუმის მშრომელებს საარჩევნო უბნებში.

სადღესასწაულოდ არის მორთული სოხუმის ერთ-ერთი მოწინავე საწარმოს — საკონსერვო ქარხნის შენობა, სადაც მოთავსებულია № 3 საარჩევნო უბანი. აქ სოხუმის საქალაქო საბჭოს დეპუტატობაზე კენჭს იყრიდნენ სოხუმის საკონდიტრო ფაბრიკის მოწინავე მუშები ვ. მუშბა, მ. ტყემალაძე, მე-7 საშუალო სკოლის მასწავლებელი რ. ჩამაგუა და სხვები.

საარჩევნო ბიულეტენებს პირველი იღებს საქკონსერვტრესტის აფხაზეთის კანტორის მუშა გ. ბაგაფშა, რომელმაც ხმის მიცემისას განაცხადა:

— ხმას ვაძლევ კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს, კომუნიზმის აქტიურ მშენებლებს. მწამს, რომ ისინი პირნათლად შეასრულებენ ამომრჩეველთა განაწესს, გაამაროლებენ ხალხის ნდობას.

მთელი ოჯახებით მოდიან ამომრჩევლები საარჩევნო უბნებში, რათა განახორციელონ თავიანთი მაღალი მოქალაქეობრივი უფლება — ხმა მისცენ სახალხო კანდიდატებს, ბრწყინვალე მომავალს. განსაკუთრებულ სიხარულს განიცდიდა ახალგაზრდა ამომრჩეველი ო. ზარუბინა. გარდა იმისა, რომ პირველად აძლევდა ხმას, მას ამ დღეს შეუსრულდა 18 წელი.

საზეიმო ვითარებაში მიმდინარეობდა არჩევნები ქალაქ ტყვარჩელში, გაგრის, გუდაუთის, სოხუმის, გულრიფშის, ოჩამჩირის რაიონებში.

არჩევნებმა ცხადყო აფხაზეთის მშრომელთა მტკიცე დარაზმულობა მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გარშემო. (საკ. კორ.).

ერთსულოვნება

17 მარტი დიდხანს ემახსოვრებათ ქუთაისის ს. ორჯონიკიძის სახელობის საავტომობილო ქარხნის ახალგაზრდა მუშებს რაულ ბარაბაძეს, გალინა ზარეცკაიას და ზინა თარბას. ამ დღეს მათ პირველად განახორციელეს მაღალი მოქალქეობრივი უფლება, ხმა მისცეს თავიანთ წარგზავნილებს ქუთაისის საქალაქო საბჭოში. ისინი პირველნი მოვიდნენ № 1 საარჩევნო უბანში, რომელიც ავტომობილმშენებელთა დაბაში მუშათა კლუბის შენობაშია მოთავსებული. მათთან ერთად სახალხო ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცეს ამავე ქარხნის მუშაკებმა, ჩვენი დიადი მრავალეროვანი საბჭოთა სამშობლოს შვილებმა. ხმის მიცემა ხალხთა ურღვევი მეგობრობის ზეიმად იქცა.

ქუთაისელ მანქანათმშენებელთა დაბის ცენტრში მთავსებულია № 15 საარჩევნო უბანი. აქ კენჭს იყრიდნენ ქარხნის მოწინავე ადამიანები საექსკავატორო საამქროს ამწყობი ზეინკალი მ. რუხაძე, სარემონტო-მექანიკური საამქროს ზეინკალი ე. კაჭახიძე, სამსხმელო საამქროს ცვლის უფროსი ა. ლასხიშვილი და ელექტროსაამქროს მუშა შ. მელაძე. ქარხნის მუშები სიამაყის გრძნობით იღებდნენ ხელში ბიულეტენებს, რომლებზეც მათი მეგობრების გვარები იყო აღნიშნული.

ამ დღეს ქუთაისელმა მშრომელებმა ერთსულოვნად მისცეს ხმა ქალაქის მოწინავე ადამიანებს. (საკ. კორ.).

★ ★

პირველი ბიულეტენები

ღამით განუწყვეტლივ წვიმდა. სტალინირის ქუჩებში მოძრაობა მაინც არ შეწყვეტილა. სიცოცხლე ჩქეფდა ყველგან — ქუჩებში, საარჩევნო უბნებში თუ აგიტპუნქტებში.

17 მარტი... თითქოს შეთანხმდნენო, საარჩევნო უბნებში ერთდროულად მივიდნენ ნანა ლაფაჩი და სვეტლანა ხარებოვა. პირველი მიიწვია ბიულეტენის მისაღებად ვ. ი. ლენინის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ვიქტორ თედეევმა, ხოლო მეორეს საარჩევნო ყუთისაკენ გასავალი უჩვენა სტალინის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ დიმიტრი ხარებოვმა.

— ჩვენთან დღეს ორი ზეიმია. დღევანდელ დღეს დაბადებულმა 18 წლის ნანა ლაფაჩმა პირველმა მისცა ხმა სახალხო ბლოკის კანდიდატებს, მეგობრები არჩევნების დღესთან ერთად ნანას დაბადების დღესაც ულოცავდნენ!

— არც ჩვენ ჩამოგრჩებით, ამხანაგო ვიქტორ! სვეტლანა ხარებოვასაც დღეს შეუსრულდა 18 წელი, მან პირველმა მიიღო ბიულეტენი. მათ სახლშიც ორგვარი მხიარულებაა დღეს.

ასეთი საუბარი გაიმართა ტელეფონით ვ. ი. ლენინისა და ი. ბ. სტალინის საარჩევნო უბნების საუბნო საარჩევნო კომისიების თავმჯდომარეთა შორის. მათ საუბარს უსმენდნენ ნანა ლაფაჩი და სვეტლანა ხარებოვა. ქალიშვილების სახეზე კმაყოფილების, სიამაყისა და სიხარულის გრძნობები იხატებოდა.

წარჩინებით სწავლობს კოლმეურნეობის მჭედლის ი. ლაფაჩის გოგონა ნანა, წარჩინებული მოსწავლეა სვეტლანაც. ბედნიერად, სიხარულით დაიწყო მათი მეცხრამეტე წელი.

— არასდროს არ დამავიწყდება დღევანდელი დღე. ჩემი პირველი ხმა მივეცი საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს ი. ჩიაევს და უხუცესს მეცნიერს, ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატს ზ. ვანეევს. არ დამავიწყდება ისიც, რომ ნანა ლაფაჩი, მესამე საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე, ჩემი ტოლი ყოფილა, — ჩაილაპარაკა სვეტლანამ და თანატოლის პირადი გაცნობა გადაწყვიტა.

სვეტლანა შინ დაბრუნებას აპირებდა, როცა მასთან ფოტორეპორტიორი მივიდა და ნანას გაცნობა შესთავაზა. ისინი გარეთ გამოვიდნენ. ხოლო საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარემ ტელეფონით სთხოვა ლენინის საარჩევნო უბნის საუბნო საარჩევნო კომისიის თავმჯდომარეს, რომ ნანა ლაფაჩი სვეტლანა ხარებოვას შესახვედრად წამოსულიყო.

მოასფალტებულ და მოკირწყლულ ქუჩებზე ამომრჩევლები ჯგუფ-ჯგუფად მიაბიჯებდნენ. ყველგან გაისმოდა სასულე ორკესტრისა და ოსური ეროვნული საკრავების სასიამოვნო ჰანგები.

ამომრჩეველთა 80 პროცენტს დღის

სტალინირი. ახალგაზრდა ამომრჩევლები ნანა ლაფაჩი (მარცხნივ) და სვეტლანა ხარებოვა საარჩევნო ყუთთან.

ფოტო ვ. უბოფენკოსი.

12 საათისათვის უკვე მოზდილი ჰქონდა თავისი მოქალაქეობრივი მოვალეობა. ნანა და სვეტლანა გულთბილად საუბრობდნენ. სვეტლანა მას უყვებოდა მეორე საშუალო სკოლის ამბებს, სადაც იგი მეთერთმეტე კლასში სწავლობს.

ნანა და სვეტლანა ერთმანეთს დააახლოვა ბედნიერმა დღემ — ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღემ. მათ 17 მარტს აღნიშნეს დაბადების დღეც.

რა ბედნიერებაა იყო საბჭოთა ქვეყნის მოქალაქე! რა შესანიშნავი მომავალი ელით ნანას და სვეტლანას!..

ი. თედიაშვილი.

არჩევნების დღე ბათუმში

აჭარის დედაქალაქის ბათუმის მარადმწვანე ხეივნები, გაზაფხულის ნაირფერი ყვავილებით შემკობილი ქუჩები გარიჟრაჟიდანვე აივსო ხალხით. აჭარის მშრომელები თვალსაჩინო მიღწევებითა და სიხარულით შეხვდნენ ადგილობრივი საბჭოების არჩევნების დღეს და ამ სიხარულს კიდევ უფრო აძლიერებს ის გარემოება, რომ არჩევნების დღეს დაემთხვა აჭარაში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 36-ე წლისთავი. ქალაქი ბათუმი საზეიმოდ არის მორთული.

აი საქარხნო საარჩევნო უბანი. იგი მოთავსებულია ბათუმელ მენავთობეთა კულტურის სასახლეში. დილის 6 საათზე აქ უკვე მოსულან სახელოვანი მენავთობეები: ს. ვერგუნი, ს. ჩანტლაძე, ინჟინერი ი. პოტაპენკო, ძველი მენავთობეები, ამჟამად პენსიონერები ა. ჩიგოგიძე და ა. მელაძე. მათ სასახელოდ შეასრულეს ნაკისრი ვალდებულებები და დღეს ერთსულოვნად მისცეს ხმა დეპუტატობის ღირსეულ კანდიდატებს სახელმოხვეჭილ მენავთობეს ოპერატორ ა. ძნელაძეს, მშენებელს ბრიგადირს ა. მერკვილაძეს, ლაბორანტებს ს. ბაკურიძესა და ე. კოსიაკინას, პარტიის ბათუმის საქალაქო კომიტეტის პირველ მდივანს ლ. უკლებას, ქარხნის პარტიული კომიტეტის მდივანს ნ. პრიხოდკოს და სხვებს.

ბათუმის მენავთობეთა უბანში დეპუტატობის კანდიდატებს ხმა მისცა აგრეთვე მეზღვაურმა ალექსანდრე კიბალჩიჩმა. დღის 4 საათისათვის უბანში უკვე ყველა ამომრჩეველმა მისცა ხმა.

ორგანიზებულად ჩაიარა არჩევნებმა ბარცხანის საარჩევნო უბანშიც. საარჩევნო ყუთში პირველი ბიულეტენები ჩაუშვეს ახალგაზრდა ამომრჩევლებმა მეთერთმეტეკლასელებმა ლამარა ფაღავამ და ნანული გუბელიძემ.

საღამოს 6 საათისათვის ქალაქში ხმა მიცემული ჰქონდა ამომრჩეველთა 99 პროცენტს.

არჩევნების დღემ ერთხელ კიდევ ცხადყო ბათუმის მშრომელთა მაღალი პოლიტიკური შეგნება, მათი მზადყოფნა — თავიანთი წვლილი შეიტანონ პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში. (საკ. კორ.).

★

თბილისი ლენინის რაიონის № 30 საარჩევნო უბანთან.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

შენს გახარებას...

უთუოდ ბევრს ახსოვს საგაზეთო რუბრიკა ან ანშლაგი: — ოქტობრის ტოლები, და მის ქვეშ: ადრე, დიდი ხნით ადრე — გოგონები და ბიჭუნები პიონერული ყელსახვევებით, ფაროდ გახელილი ბავშვური უუუუნა თვალებით, გოგონები ბანტების პეპელებით თითისტოლა ნაწნავებზე, ბიჭუნები — ზოგი მაისის ვარდივით გაფურჩქნული ხუჭუჭით, ზოგიც მოკლედ შეკრეჭილი თმით.

სურათებს ქვემოთ მოთხრობილი იყო გაზეთის ამ პატარა გმირების ღირსებები, რომ ისინი წარჩინებულად სწავლობენ, რომ პიონერის წოდებას ამართლებენ, კარგი სწავლით მშობლებისა და ხალხის გულს ახარებენ. მათი სამყარო ხომ საკლასო ოთახი და მშობლების თბილი უბე იყო მხოლოდ.

უფრო გვიან: იმავე რუბრიკის ქვეშ გვინახავს პორტრეტები უკვე ქალიშვილებისა და ჭაბუკებისა, შოხს მზირალი მეოცნებე თვალებით, კომკავშირული სამკერდე ნიშნით, ზოგი კვლავ საკლასო მერხთან მჯდომი, ზოგიც დამოუკიდებელი ცხოვრებისა და შრომის ასპარეზზე გამოსული.

რაც ოქტომბერი და მისი ტოლები სოლიდურ ასაკში შევიდნენ, ასეთი რამ გაზეთებში აღარ გვინახავს. რატომ? თუმცა წარვიდნენ დრონი — ოქტომბრის ტოლთ თმა შეუფერცხლდათ, შუბლზე სიბრძნის ღარები გაუჩნდათ, მხრებზე დროის ტვირთი დააწვათ, ბიოგრაფიები გაუმდიდრდათ და ანკეტურ გრაფებში ძლივსღა სტევენ, მათ მაინც მუდამ ჭაბუკებად ჩავთვლი, რადგან მათი ქვეყნად მოვლენის თარიღად ზის — 1917. ისინი ხომ ტოლნი არიან ახალი ერის, ახალი ეპოქის დამწყები და შემოქმედი მარად ჭაბუკი ოქტომბრისა. ცხრაას ჩვიდმეტი ხომ ეპოქის სიჭაბუკის და სიახალგაზრდავის სიმბოლოა.

ბევრ უბანში გავეცანი ამომრჩეველთა სიებს. სტანდარტული ფურცლები ძუნწად, მაგრამ მრავლისმეტყველად მიამბობდნენ უცნობ ადამიანებზე. გვარის გასწვრივ ჩემი თვალი უნებურად გარბოდა ერთი გრაფისაკენ — დაბადების წელი. და ყოველთვის, როგორც ნაპოვნი მარგალნის თვალი, რაღაც სხვა შუქით შემომანათებდა — 1917. არ ვიცი რატომ, იქნებ იმიტომ, რომ ჩემს ტოლებს ვეძებდი, ან უფრო იმიტომ, რომ იგი დიადი თარიღის გამომხატველი იყო, იმ თარიღისა, რომლის ორმოცი წლისთავის დღესასწაულისათვის მზადებას მიეძღვნა ჩვენი პარტიის ისტორიული დადგენილება, გამოქვეყნებული სწორედ არჩევნების დღის გაზეთებში.

და უცებ გავაყოლებდი თვალს მომდევნო გრაფებს, ჩემს უცნობ დაზე და ძმაზე რომ მიამბობდა. აგიტატორები მიშიფრავდნენ გრაფაში ძუნწად ჩასმულ სიტყვებს: „მუშა“, „მოსამსახურე“. მაინც რა მოსამსახურე? მაინც რა მუშა? — და ირკვეოდა: ზოგის გვარს ამშვენებს სიტყვა მეცნიერი, ზოგისას გენერალი, ზოგიც ინჟინერია, ექიმი, მასწავლებელი. ზოგი უბრალოდ, დიასახლისი — შინ არის და შინ ყოფნითაც სახელმწიფოს საქმეს აკეთებს — უვლის ოჯახს, ზრდის შვილებს. გრაფები აგიტატორების დახმარებით მამცნობდნენ ისეთ პროფესიებსაც, როგორიც მისი მფლობელის დაბადებამდე არც ყოფილა: მფრინავი, მექანიკოსი, ტრაქტორისტი, ჩაის ტექნოლოგი... მიხარია — რამდენნაირი პროფესიისა და საქმიანობის თანატოლი მყოლია, რამდენი არწივი აფრენილა ბუდიდან!

ყოველი ამ პროფესიისა და საქმიანობის ადამიანებს მიღმა, ვით ნათელ ჰორიზონტზე, მე ვხედავდი სამშობლოს, მოპოვებულს დიდი ოქტომბრით, სახელმწიფოს, რომლის საფუძველთა საფუძველი საბჭოებია.

ამ საბჭოებს ირჩევდნენ ახლა თავისუფალი შრომის ბედნიერი ადამიანები. ზეიმი იყო დედაქალაქში. გაზაფხულის ქარი არხევდა დროშებს და ალისფერ ტილოებს. ადრე გაღვიძებულ ქალაქის ქუჩებში ადამიანთა ნაკადები მიედინებოდნენ საარჩევნო უბნებისაკენ.

ერთ-ერთი უბნისაკენ დილაადრიან მრავალთა შორის ერთი ოჯახიც მიეშურებოდა. ოჯახის თავზე ჯოხზე წამოცმული პატარა ალმი ფარფატებდა და ძაფზე გამობმული ვარდისფერი ბუშტი ირხეოდა. ვარდისფერსავე ფუნჩულა ხელში ეჭყრა ბავშვის საზეიმო სიხარულის ეს ორი სიმბოლო ოჯახის ყველაზე უმცროს წევრს, მამის განიერ მხრებზე წამოსკუპებულ პატარა ნანის. ხოლო ყველაზე უფროსი ამ ოჯახში მიდიოდა წინ, თითქოს გზას კვლავსო, თავი მაღლა აეწია, გაზაფხულის ჰაერს ხარბად დასწაფებოდა, მხრებში გამართულიყო, ცნობისმოყვარეობით მიეპყრო თვალი სივრცისათვის, თითქოს ამ არე-მიდამოს პირველად ხედავსო. არ ეპასუხებოდა მოუსვენარი, ანცი შვილიშვილის დროდადრო წამოძახილსაც: „პაპა, ჰა, პაპ! შენს მხრებზე შემსვი, რა!..“

სხვა დროს იგი მობრუნდებოდა, კეპს მოიხდიდა, თეთრ ულვაშებზე და ნარბ-წამწამზე ხელს გადაისვამდა, მკლავებს სიყვარულით გაშლიდა და ეტყოდა: „მოდი პაპასთან, ჩემო ნათელო!“

მაგრამ ახლა სწორედ იმ შვილიშვილის ნათელს უღიმოდა მოხუცი თავის გონებაში, რომელიც მის ზურგს უკან კი არ მოდიოდა, არამედ თითქოს სადღაც წინ და შორს იყო აი თუნდაც იმ ქუჩაზე, საბჭოს ქუჩაზე, ზღვა ხალხის თავზე, ან თუნდაც აი იმ ლოტკინის გორაზე... იგი ფიქრობდა შორეულ წარსულზე, როცა აქ, ამ მიდამოებში მიდიოდა ზღვა ხალხი, მაგრამ არა ზეიმით, არამედ პურისა და თავისუფლების მოთხოვნით. იმ ზღვა ხალხის ერთ-ერთ პირველ რიგებში თვითონ მიიწევდა წინ ქარიშხლის პირისპირ, ხელში დროშის ტარი ჩაებღუჯა. მაშინ მისი საყვარელი შვილიშვილის მამა, თითქმის იმდენივე ხნისა, რამდენისაც ახლა ნანია, საზეიმო ალმითა და ფერადი ბუშტებით მამის მხარზე წამოსკუპებული კი არ ხარობდა, არამედ სადღაც ბნელ ჯურღმულში დედის კალთას ეწეოდა ტატინით: „პური, დედი!“

ფიქრებში გართული მოხუცი უნებლიეთ ნაბიჯს ანელებდა, ახლა მას თვალწინ ედგა ძველი ნაძალადევი, დღეს დედაქალაქის მძლავრი ინდუსტრიული უბანი, დიდი ლენინის სახელს რომ ატარებს, აგონდებოდა რკინიგზის მთავარ სახელოსნოებში გატარებული სიჭაბუკე, ამ სახელოსნოში კურნატოვსკის მიერ შემოტანილი ლენინური ნაპერწკალი, შემდეგ სტალინმა ალად რომ აქცია. ეს ალი მიდიოდა შორს ლოტკინის გორისაკენ, იქით — მლაშე ტბებისაკენ... რევოლუციის ალი.

ახლა სოციალისტური დედაქალაქი თბილისი მიიწევს დასავლეთით ზაჰესისაკენ, აღმოსავლეთით რუსთავისაკენ, ჩრდილო-აღმოსავლეთით მლაშე ტბებისაკენ, რომლებმაც გზა დაუთმო გაცოცხლებულ სამგორს და თბილისის ზღვას.

ბევრი, ბევრი რამ აგონდებოდა მოხუცს გზაზე, რომელსაც იგი და მისი ოჯახი საარჩევნო უბნისაკენ მიჰყავდა, უბნისაკენ, სადაც ხმა უნდა მიეცათ ახალი თბილისისათვის, ახალი ბედნიერი ცხოვრებისათვის, ხმა უნდა მიეცათ ხალხის რჩეულთათვის, იმათთვის, ვინც უნდა წარგზავნათ საბჭოებში — ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, დიდი ოქტომბრით მოპოვებულ უმაღლეს ორგანოებში.

ვინ იყო ეს მოხუცი? — ერთ-ერთი იმათგანი, ვისაც წარსულის სუსხი გადაუტანია და ვინც რევოლუციის გარიჟრაჟზე ამ სუსხს შებრძოლებია.

ჩვენ ზევით სიყვარულით მოვიხსენიეთ ოქტომბრის ტოლები. უფრო დიდი სიყვარულით ვახსენებთ ამ მოხუცს, ვის პარტიულ ბილეთშიც შესვლის თარიღად ოქტომბრის ტოლთა ქვეყანად გაჩენის თარიღი წერია, — 1917.

აი ვინ აძლევდა მრავალთა შორის ხმას ხალხის რჩეულთ. სახელი მისი ზაჭრო, გვარად ტეგეტაშვილი, სტალინის სახელობის ორთქლმავალ-ვაგონშემკეთებელ ქარხანაში ორმოცდაშვიდი წელი რომ იმუშავა. დღეს პერსონალური პენსიონერი გარანტირებული მოხუცებულობის ტკბილ დღეებს ატარებს თავის თბილ ოჯახურ კერასთან, ცოლშვილითა და შვილიშვილებით გარემოცული.

პლეხანოვის კლუბი გაჭედილი იყო ხალხით. საზეიმოდ მორთულ დარბაზებში ამომრჩეველთა ნაკადები ერთმანეთს ხცვლიდა. ერთი წუთით თავის მშობლიურ ქარხანაში წარმოიდგინა თავი მოხუცმა — აქ ხედავდა თითქმის ყველას — თანშეზრდილთ, მისი ჭირისა და ლხინის გამზიარებლებს. თვალის უპეები სიხარულის ცრემლით ენამებოდა.

ბიულეტენები მიიღეს. პირველი გაემართა ყუთისაკენ შაქრო, მას მიჰყვებოდა პატარა ნანი ალმით და ვარდისფერი ბუშტით, შემდეგ მეუღლე ლუბა, მათს უკან შვილი — ინჟინერი გრიგოლი და რძალი ეთერი. მათ შორიახლო მისდევდა ნანის უფროსი ძმა, მერვეკლასელი გრიშა, შენატროდა იმ დროს, როცა მასაც არჩევნებისათვის შესაფერი ასაკი დაუდგებოდა.

— პაპა, ჰა, პაპა!.. ამიყვანე, რა!

ნანი ყუთს ძლივს სწვდებოდა.

შაქრომ მოიხადა მოქალაქეობრივი ვალი — ყუთში ჩაუშვა ბიულეტენები და ხელში აიტაცა საყვარელი შვილიშვილი.

— შენს გახარებას მივეცი ხმა, ჩემო ნათელო! ეს სიტყვები მან თავისთვის ჩაილაპარაკა. ნანი მას მერე გაიგებს. უფრო გვიან.

ბაღში მუსიკის ხაამო მელოდიები ირხეოდა. ხეებს გაზაფხულის ქარი ენანავებოდა. მზე ძალაში შედიოდა.

ვლ. თოდუა.

• • •

სურათზე: ხმას აძლევენ ზ. ტეგეტაშვილის ოჯახის წევრები.

ოსი ხალხის კულტურის ზეიმი

კვირას, 17 მარტს თბილისში სტალინირიდან მატარებლით ჩამოვიდნენ სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეები. რკინიგზის სადგურის პერონზე თავი მოიყარეს მწერლებმა, მხატვრებმა, კომპოზიტორებმა, რეჟისორებმა, მსახიობებმა, დედაქალაქის პარტიული, კომკავშირული და პროფკავშირული ორგანიზაციების წარმომადგენლებმა.

მატარებელი ვაგზლის პერონს უახლოვდება. თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები მხურვალედ მიესალმნენ და ცოცხალი ყვავილების თაიგულები მიართვეს ძვირფას სტუმრებს.

ვაგზლის მოედანზე გაიხსნა მიტინგი. სტუმრებს სიტყვით მიმართა საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ა. გუნიამ.

ქართველი მწერლების სახელით სამხრეთ ოსეთის დეკადის მონაწილეებს მიესალმა საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის პირველი მდივანი ი. აბაშიძე.

მიტინგის დასასრულს სიტყვა წარმოთქვა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა დეპუტატების საოლქო საბჭოს აღმასკომის კულტურის განყოფილების გამგემ ე. ჯიოევმა.

* * *

სურათზე: სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადის მონაწილეები რკინიგზის თბილისის ვაგზალზე.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

ლიტერატურისა და ხელოვნების აღმავლობისათვის

★

გ. სანაკოევი,
საქართველოს კპ სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველი მდივანი.

★

დღეს ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქ თბილისში იხსნება სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის დეკადა. ეს დიდმნიშვნელოვანი მოვლენაა სამხრეთ ოსეთის მშრომელთა კულტურულ ცხოვრებაში.

ოსი ხალხის კულტურა განუყოფლად დაკავშირებულია მომძე ქართველი ხალხის კულტურასთან. საუკუნეთა მანძილზე ოსი ხალხი ქართველი ხალხის მხარდამხარ გმირულად იბრძოდა თურქი და ირანელი დამპყრობლების წინააღმდეგ. ამ ბრძოლაში კიდევ უფრო გამოიწრთო და განმტკიცდა ოსთა და ქართველთა ძმური მეგობრობა, რომელსაც ესოდენ შესანიშნავი წარსული აქვს.

ოსმა ხალხმა ქართველ ხალხთან ერთად გადიტანა შავბნელი წარსულის სიდუხჭირე, დამცირება და შევიწროება. ამაოდ შეეცადნენ ხალხთა ძმური მეგობრობის მტრები შუღლი შეეტანათ ოსთა და ქართველთა ურთიერთობაში, დაეჩრდილათ და გაენადგურებინათ ყოველივე კარგი, ყოველივე პროგრესული, რაც ხალხთა ბედნიერებისათვის იყო გამიზნული.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში სახელოვანი კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, დიდი რუსი ხალხის უანგარო დახმარებით, ქართველი ერის ყოველდღიური მზრუნველობით გაიფურჩქნა და აყვავდა ძველათ ჩამორჩენილი სამხრეთ ოსეთის მრეწველობა, სოფლის მეურნეობა და კულტურა.

ამ პერიოდში სამხრეთ ოსეთის კულტურის აღმავლობის უტყუარ მაგალითს იძლევა განათლების მდგომარეობა. ოსეთის მშრომელთა განათლების საქმეს ემსახურება 373 დაწყებითი, 7-წლიანი და საშუალო სკოლა, სპეციალური საშუალო სასწავლებლები, სტალინირის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამხრეთ ოსეთის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი. მარტო ზოგადსაგანმახათლებლო სკოლებში ამჟამად 23 ათასი მოსწავლეა.

საბჭოთა ხელისუფლების წლებში განსაკუთრებით გაიფურჩქნა და განვითარდა ოსი ხალხის ლიტერატურა და ხელოვნება, ფორმით ეროვნული და შინაარსით სოციალისტური. ოსური ხელოვნებისა და ლიტერატურის მიღწევების ჩვენება ჯერ კიდევ 1940 წელს მოხდა თბილისში. ეს იყო სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის პირველი დეკადა თბილისში. მაგრამ თუ 1940 წლის დეკადაზე წარსდგა მხოლოდ სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი და სამხრეთ ოსეთის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლი, ახლა მათთან ერთად მონაწილეობას მიიღებენ მწერლები და მხატვრები.

სამხრეთ ოსეთის მუსიკალური კულტურის განვითარებაში დიდ როლს ასრულებს სიმღერისა და ცეკვის სახელმწიფო ანსამბლი. მრავალფეროვანია მისი რეპერტუარი. აქ შეტანილია რუსული, ქართული, ოსური, აგრეთვე სხვა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკების ხალხური სიმღერები და ცეკვები, თანამედროვე კომპოზიტორთა ნაწარმოებნი. ანსამბლის რეპერტუარშია 100-ზე მეტი სიმღერა და ცეკვა.

ანსამბლი განსაკუთრებით პოპულარულია თავისი ცეკვებით, მათი მაღალი შესრულებით. მაყურებელი ყოველთვის აღფრთოვანებით ხვდება ანსამბლის ქორეოგრაფიული ჯგუფის მიერ შესრულებულ ცეკვებს „მხედრების ცეკვას“, „ნართების ცეკვას“, „თაუჩეს“, „დავლურს“ და სხვებს. ცეკვების დადგმა შესანიშნავად განახორციელეს კ. ცაბოლოვმა და ვ. ჯატიევმა. ცეკვა „ნარნარს“ ბრწყინვალედ ასრულებს საქართველოს სსრ დამსახურებული მსახიობი გ. თედეევი. ვფიქრობ, დეკადაზე საერთო მოწონებას დაიმსახურებს ნორჩ მოცეკვავეთა ჯგუფი, რომელსაც სამხრეთ ოსეთში ესოდენ დიდ პატივს სცემენ. ანსამბლი დეკადაზე წარმოადგენს აგრეთვე ახალგაზრდა კომპოზიტორის, ანსამბლის მხატვრული ხელმძღვანელის დ. ხახანოვის საცეკვაო სუიტას „ზეიმი კოლმეურნეობაში“.

თავისი არსებობის მანძილზე სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრმა ბევრი შესანიშნავი დადგმა განახორციელა. ახლა იგი მაყურებლის წინაშე წარსდგება ოთხი სპექტაკლით. აქედან სამი ეკუთვნის თეატრის ოსურ კოლექტივს, ხოლო ერთი — თეატრის ქართულ კოლექტივს.

დეკადაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი ოსი მწერლების ნაწარმოებნი. თბილისში ქართულ ენაზე უკვე გამოიცა სამხრეთ ოსეთის მწერლების ნაწარმოებთა კრებული სამ ტომად: პროზა, პოეზია და დრამატურგია. სამხრეთ ოსეთის კულტურის მუშაკები დიდ მადლობას უძღვნიან მოწინავე ქართველ მწერლებს, რომლებმაც ნამდვილად შესანიშნავი საქმე გააკეთეს, რომ მოკლე ხანში ქართულ ენაზე თარგმნეს ოს მწერალთა ნაწარმოებები. ამ კრებულში ოსური ლიტერატურის კლასიკოსების კოსტა ხეთაგუროვის, სეკა გადიევის, ცომაყ გადიევის, ივანე ჯანაევის ქმნილებათა გვერდით დაბეჭდილია ოსი საბჭოთა მწერლების დ. ჯიოევის, თ. გაგლოევის, რ. ასაევის, გ. ძუგაევის, ე. ბეკოევის, ვ. სანაკოევის, რ. ჩოჩიევის, კ. მარგიევის, ნ. ჯუსოევის და სხვათა ნაწარმოებები. სამხრეთ ოსეთის სახელგამმა უკანასკნელ ხანებში ათობით ახალი წიგნი გამოუშვა. აქვე გამოიცა ოსი მწერლების ნაწარმოებთა ალმანახი რუსულ ენაზე.

დეკადის დღეებში თბილისელები ნახავენ ოსური ლიტერატურის გამოფენას. ამ გამოფენაზე წარმოდგენილი იქნება სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობის მიერ უკანასკნელ წლებში გამოცემული ათასზე მეტი სხვადასხვა სახელწოდების წიგნი. ამასთან ორიგინალურ ნაწარმოებთა გვერდით გამოფენაზე იქნება რუსი, ქართველი და სხვა მოძმე ხალხთა მწერლების ნაწარმოებნი, რომლებიც ოსურ ენაზე ითარგმნა და გამოიცა.

სამხრეთ ოსეთის მწერლებს უდავოდ აქვთ მრავალი ნაწარმოები, რომლებითაც მათ შეუძლიათ იამაყონ, მაგრამ აქვე არ შეიძლება არ აღინიშნოს ზოგიერთი სერიოზული ნაკლი ჩვენი მწერლების მუშაობაში. უწინარეს ყოვლისა საკმაო ყურადღება არ ექცევა საბავშვო ნაწარმოებების შექმნას და ლიტერატურულ კრიტიკას.

დეკადაზე მოეწყობა ფერწერის, ქანდაკების, გრაფიკისა და დეკორაციული ხელოვნების 300-ზე მეტი ნაწარმოების გამოფენა. მათი ავტორები არიან მხატვრები ბ. სანაკოევი. ვ. ქოქოევი, გ. დოგუზოვი, მ. ქოქოევი, ნ. კაბისოვი, პ. ნეკერიშვილი, ვ. მეზურნოვი და სხვ. ბ. სანაკოევის ნაწარმოებები მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეაშიც არის მოთავსებული. დიდ ყურადღებას იპყრობს მისი ნაწარმოები „კ. ხეთაგუროვი“. მ. ქოქოევმა მოზაიკით გააკეთა ვ. ი. ლენინის ქანდაკება. მოქანდაკე ვ. ქოქოევმა შექმნა გენერალ ი. პლიევის ფიგურა.

ოსური ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადაზე ფართოდ იქნება წარმოდგენილი აგრეთვე მხატვრული თვითმოქმედება. ვრცელი და საინტერესო პროგრამით გამოდიან სტალინირის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტები, ოსურ ხალხურ საკრავთა ორკესტრი, ნორჩი მუსიკოსები, აკრობატები, ინდივიდუალური შემსრულებლები.

სამხრეთ ოსეთის სახელმწიფო გამომცემლობამ დეკადასთან დაკავშირებით გამოსცა სამხრეთ ოსეთის კომპოზიტორთა ნაწარმოებების კრებული. მასში შეტანილია ბ. გალაევის, დ. ხახანოვის, ქ. პლიევის, ვ. პლიევის, თ. ქოქოითის, გ. გურჯიბეკოვის, ა. ქოქოითისა და სხვათა ნაწარმოებები.

სამხრეთ ოსეთის ხელოვნებისა და ლიტერატურის მუშაკებისათვის ეს დეკადა არა მარტო ზეიმია, არამედ შემოქმედებითი ზრდის სერიოზული გამოცდაც არის. ოსეთის მწერლები, მსახიობები, მხატვრები, კომპოზიტორები სავსებით ითვალისწინებენ იმ დიდ ამოცანებს, რომლებიც დასახულია პარტიის XX ყრილობის გადაწყვეტილებებში იდეოლოგიური მუშაობის შესახებ.

ვიმედოვნებთ, რომ სამხრეთ ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა დიდად შეუწყობს ხელს ოსი ხალხის კულტურის შემდგომ აღმავლობას, მისი ლიტერატურისა და ხელოვნების ახალ მძლავრ განვითარებას.

რევაზ ასაევი

სალამი

ქართველო, სალამს გიგზავნის ოსი,
ქართველო, ოსეთი მოკითხვას გითვლის.
ერთიმეორეს ვეხვევით, ვკოცნით,
როგორც მტკვრისა და ლიახვის ზვირთნი.

ჩვენ გუშინდელი როდი ვართ ძმები,
ჩვენ მეგობრობა ძველთაგან მოგვდგამს,
ზიარი გვქონდა ძველთაგან ცრემლი,
ლხენაც ძველთაგან საერთო გვქონდა.

ქართველის გული, ქართველის ხახლი
მეგობართათვის ღიაა მარად...
კახეთის ზვრების, ოდიშის ბაღის
ერთი შეხედვა სიცოცხლედ კმარა.

ჩვენ მეგობრობა გვიმძლავრებს სუნთქვას,
იგია, საქმედ რომ აქცევს სიტყვას,
ჭირში და ლხინში ერთად ვართ მუდამ,
წინ მივაბიჯებთ საერთო გზითა.

სადაც ბურ-ხოხის ელვარებს თხემი,
გმირ ჩაპაევის ბოხოხის მსგავსად,
სადაც პიტალოს ჩამოსდის ცრემლი,
სადაც გრიალი გაუდის ქარსა...

სადაც ფაფუკი ფრიალებს ნისლი,
როგორც დიაცის მანდილი თეთრი,
სადაც მდინარის ღრიალი ისმის,
და ეს ღრიალი ტყის შრიალს ერთვის,

სადაც ჩანჩქერი ჰკიდია კლდეზე,
ვით ბერიაკის ქათქათა წვერი, —
იქიდანაა, რომ გიძღვნით ლექსებს,
იქიდანაა სალამი ჩვენი.

იქ აოცებდა წარსულში ნართებს
თამარის სახე, ხოსლანის მკლავი...
დღეს გაოცება თბილისით გვმართებს —
მისი ქუჩებით და მისი მტკვარით.

აქ ვართ და ახლა ჩვენ თვალწინ არის
თბილისი, როგორც ვეება ფარი,
და ფარზე, როგორც ვახტანგის ხმალი,
დადებულია ელვარე მტკვარი.

დღეს საქართველოს მშვენიერ გულში
ჩვენ ხალხთა ძმობის სიმღერებს ვმღერით,
ეს სიმღერები, — ჯერ კიდევ გუშინ
ჩვენს გულში იშვნენ ტალღებად ღელის,

რომ განფენოდნენ შემდეგში ხმელეთს,
ცა შეერყიათ ზათქით-ხმაურით
და ხალხებისთვის მიეცათ მერე
ბედნიერება და სიხარული.

ჩვენს უფროს ძმასთან — რუსეთთან ერთად,
ცის თაღებს აღებს სიმღერა ჩვენი:
ლენინის დროშამ იხაროს ქვეყნად,
პარტიას ჩვენსას დიდების დღენი.

თარგმანი **მუხრან მაჭავარიანისა.**

სამხრეთ ოსეთში გამოცემული ახალი წიგნები.

რით მოვედით დეკადაზე

ოსი მხატვრები

თუ 1940 წელს სამხრეთ ოსეთში მხოლოდ ორი მხატვარი იყო, ახლა აქ სახვითი ხელოვნების სხვადასხვა უანრის 80-მდე შემოქმედი მუშაობს. ამჟამად საქართველოს სურათების გალერეაში მოწყობილია ოსი მხატვრების ნაწარმოებთა გამოფენა, რომელზეც ექსპონირებულია ფერწერის, გრაფიკის, ქანდაკების, კერამიკისა და გამოყენებითი ხელოვნების 300-მდე ნამუშევარი.

გამოფენაზე ჩამოტანილ ნაწარმოებთა შორის პირველ რიგში საჭიროა აღინიშნოს ოსური პროფესიული მხატვრობის ფუძემდებლის მახარბეკ ტუგანოვის ნამუშევრები. მნახველთა ყურადღებას უთუოდ მიიპყრობს ოსური ეპოსის „ნართების“ აკვარელით შესრულებული შესანიშნავი ილუსტრაციები, აგრეთვე მისი ფერწერული ტილოები — „უხუცესთა სამსჯავრო“, „ძაღლის კლდე“, „ვმირი მეომრის დაკრძალვა“, „ოსი ბაღათარი“, კოსტა ხეთაგუროვის პორტრეტი, „სოფელ არაშენდას ტრაგედია“, „საკოლმეურნეო საძოვრებზე“ და სხვ.

გამოფენაზე ძირითადად ახალგაზრდა მხატვრები არიან წარმოდგენილნი. მათ შორის ბევრნი მოსკოვის, ლენინგრადის და თბილისის უმაღლეს სამხატვრო სასწავლებელთა აღზრდილნი არიან. ძველსა და ახალ სტალინირს ასახავს თავის პეიზაჟებში ნიჭიერი მხატვარი გ. დოგუზოვი. პეიზაჟებით და საინტერესო პორტრეტებით არიან წარმოდგენილი ნ. კაბისოვი, უ. გასიევი, ძმები ვ. და გ. ცერაძეები, ს. მინასოვი, ყურადღებას იპყრობს ხ. გასიევის უანრული სურათები და პორტრეტები, გ. კოტაევის პორტრეტები და საინტერესო ესკიზები კედლის მხატვრობისათვის — „ოსების მაყრიონი“.

მოქანდაკე ვ. კოკოევი მნახველთა წინაშე წარსდგება გენერალ პლიევის მონუმენტური სკულპტურული პორტრეტით, მოხუცის, მოქანდაკე კიბალნიკოვისა და ახალგაზრდა მწველავი ქალის პორტრეტებით, პ. ნეკერიშვილი — სკულპტურული პორტრეტებით, ახალგაზრდა მოქანდაკე, თბილისის სამხატვრო აკადემიის V კურსის სტუდენტი ვ. ქელეხსაევი — სკულპტურით „პარტიზანი“.

სურათების გალერეაში გამოფენილია აგრეთვე ა. ვანეევის ფერადი ლითოგრაფიები, ა. ზასეევის ნამუშევრები წიგნის გრაფიკის დარგში. გამოყენებითი ხელოვნება გამოფენაზე წარმოდგენილია ნიჭიერი მხატვრის მ. კოკოევის ნამუშევრებით, აგრეთვე ა. პლიევის მოზაიკური პეიზაჟით და მისივე კ. ხეთაგუროვის პორტრეტით. აქვეა მ. სადკოევის საინტერესო ნამუშევრები — ინკრუსტაცია ხეზე.

გ. სანაკოევი,
საქართველოს მხატვართა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების მდივანი.

სტალინირის სახელმწიფო თეატრი

სტალინირის კ. ხეთაგუროვის სახელობის სახელმწიფო თეატრი მეორეჯერ წარდგება თბილისელი მაყურებლების წინაშე.

ითვალისწინებდა რა იმ შემოქმედებითს და ტექნიკურ ხარვეზებს, რომლებიც თეატრს ჰქონდა 1940 წელს ოსური ხელოვნების დეკადის დროს, თეატრის კოლექტივი დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ემზადებოდა დეკადისათვის.

თეატრის ოსური კოლექტივი დეკადას გახსნის ახალგაზრდა დრამატურგის ვლადიმერ გაგლოევის პიესით „ზალინა“.

ოსეთის წარსულის ისტორიულ-საყოფაცხოვრებო თემისადმი მიძღვნილია ცნობილი ოსი დრამატურგის დავით თუაევის პიესა „ობლების დედა“, რომელიც აგრეთვე შეტანილია დეკადის რეპერტუარში. სპექტაკლის დამდგმელია საქართველოს სსრ დამსახურებული არტისტი გრიგოლ კაბისოვი, გაფორმება ეკუთვნის საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ტაურბეგ გაგლოევს.

ოსური კოლექტივის რეპერტუარში დღიდან მისი არსებობისა იყო ქართველი დრამატურგების პიესები როგორც ისტორიულ, ისე თანამედროვე თემატიკაზე. ამიტომ შემთხვევითი არ არის, რომ ოსური კოლექტივის ერთ-ერთი სადეკადო სპექტაკლია ვალერიან კანდელაკის ჰეროიკული კომედია „მაია წყნეთელი“.

თეატრის ქართულ კოლექტივს დეკადაზე მოაქვს ოსი დრამატურგის გ. პლიევის ტრაგედია „ჩერმენი“. სპექტაკლის დადგმა განახორციელა რეჟისორმა ლევან შატბერაშვილმა. სპექტაკლის მხატვარია ტაურბეგ გაგლოევი. მუსიკალური გაფორმება ეკუთვნის კომპოზიტორ ქრისტეფორე პლიევს.

უდიდესი სიხარულისა და სიამაყის გრძნობით გამოვალთ თბილისის თეატრალური საზოგადოებრიობის წინაშე, თბილისელი მაყურებლის წინაშე და გვჯერა, რომ დიდი მხატვრული გემოვნების მქონე მაყურებლის თვითეული კრიტიკული შენიშვნა ხელს შეუწყობს ჩვენს თეატრს მხატვრული და იდეური დონის ამაღლებაში.

ქ. კოჩიევი,
სტალინირის სახელმწიფო თეატრის დირექტორი.

★ ★ ★

ჩვენი მწერლები

ოსური საბჭოთა ლიტერატურა დიდი საბჭოთა ლიტერატურის ნაწილს წარმოადგენს. იგი ვითარდებოდა და ვითარდება მოწინავე რუსული ლიტერატურის, საბჭოთა ქვეყნის მოძმე ლიტერატურების საუკეთესო ნაწარმოებთა და განსაკუთრებით ქართველი მწერლების ნაწარმოებთა კეთილსაყოფიერი გავლენით.

ოსი ხალხი და მისი ლიტერატურა მემკვიდრეობად იღებს ყოველივე საუკეთესოს, რაც წარსულში შექმნილა კლასიკურ ლიტერატურაში. ახალი საბჭოთა ლიტერატურა წარმატებით ვითარდებოდა წარსულის კლასიკური ლიტერატურის უმდიდრესი გამოცდილების ღრმა და შემოქმედებითი გააზრების მეოხებით.

ოსური ლიტერატურისა და ლიტერატურული ენის ფუძემდებელმა კოსტა ხეთაგუროვმა ოსი მწერლების მომდევნო თაობებს მაღალი დემოკრატიული იდეურ-მხატვრული ტრადიციები დაუტოვა. სწორედ აქედან იწყება ოსური მხატვრული ლიტერატურის განვითარების განუწყვეტელი ისტორია. კ. ხეთაგუროვის შემდეგ პირველი რევოლუციის წლებში ოსურ ლიტერატურაში გამოჩდნენ ისეთი შესანიშნავი მწერლები, როგორც გადიევი, ა. ქოცოევი და მთელი რიგი სხვები. მნიშვნელოვანი შემოქმედებითი და პოლიტიკური აქტივობა გამოიჩინა ს. გადიევმა, რომლის შემოქმედებამ დიდი გავლენა მოახდინა ოსური პროზის განვითარებაზე.

ოციან წლებში ოსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ იწყება ოსური ლიტერატურის განვითარების ახალი ეპოქა. ამ ეპოქის ლიტერატურის მთავარი ამოცანა იყო და არის ხალხის მასების კომუნისტური იდეებით აღზრდა.

ა. ქოცოევის, ს. კულაევის, ჩ. ბეგიზოვის პროზული და დრამატული ნაწარმოებები, ც. გადიევის, გ. ბარაკოვის, ა. გულუევის, ს. ბაგრაევის, გ. მალიევის, ნიგერის (ივანე ჯანაევი), ნიჭიერი კომკავშირელი პოეტის მ. კამბერდიევის ლექსები სწორედ ამ იდეებით არის გამსჭვალული.

30-იან წლებში ოსეთის ლიტერატურაში მოვიდა მწერლების მთელი თაობა. ეს ახალი ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო ოსური კულტურის ისტორიაში. განაგრძობდნენ რა კოსტა ხეთაგუროვისა და ოსური ლიტერატურის სხვა კლასიკოსთა ტრადიციებს, ოსეთის მწერლები ქმნიდნენ ახალ ოსურ საბჭოთა ლიტერატურას.

ნიგერის პოემები „თერგის ნაპირზე“, „ვიცი“. „მეორე კუბადი“, ბ. ბოციევის რომანი „დამსხვრეული ბორკილი“ და მისივე ლექსები, დ. მამსუროვის რომანი „მძიმე ოპერაცია“ და მოთხრობების კრებული, ჩ. ბეგიზოვის მოთხრობები „კოშკები ღაღადებენ“, „მგლები“, ს. კულაევის „ებრაელი ომუაყი“ დრამა „სწორ გზაზე“, ქ. ძესოვის მოთხრობები, გ. ჯიმიევის პიესები „ქორწილი“ და „ახალი პატარძალი“, ს. გაზაევის მოთხრობა „ბიბო“, რ. ჩოჩიევის რომანი „ოცნება“, ხ. პლიევის პოემა „სალიმათი“ და გ. ძუგაევის „ხმალი“, ნიგას (ნინო გალავანოვას), ტ. ეფხიევის, ი. ხოზიევის, გ. პლიევის, ც. ხუტინაევის, ი. პლიევის, დ. ჯიოევის, ი. კავკაზგის, ვ. ბეგიზოვის, ხ. არდასენოვის, ყ. კოროევის, თ. ბესაევის, თ. ჯატიევის და სხვების მოთხრობებისა და ლექსების კრებულები ახალი დიდი ნაბიჯი იყო ოსურ საბჭოთა ლიტერატურაში.

ოსური ლიტერატურის განვითარებაში, ლიტერატორთა კადრების შემოკრებისა და აღზრდის საქმეში მნიშვნელოვანი როლი შეასრულეს ლიტერატურულ-მხატვრულმა ჟურნალებმა „ფიდიუაგმა“ („მოამბე“, დაარსდა 1927 წ.) და „მახ დუმმა“ („ჩვენი ეპოქა“, დაარსდა 1934 წ.).

30-იანი წლების ლიტერატურის ცენტრალური პრობლემა იყო ბრძოლა საკოლმეურნეო წყობილების განმტკიცებისათვის, კოლმეურნეგლეხობის შეგნებაში კერძო-მესაკუთრული გადმონაშთებისა და ფსიქოლოგიის დაძლევისათვის. ამ წლების ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა რევოლუციამდელ ოსეთში და სამოქალაქო ომის წლებში ხალხის შრომისა და ბრძოლის თემასაც. ამ თემებზე ბევრი კარგი ლექსი, მოთხრობა და პოემა დაიწერა.

სამამულო ომის დროს საბჭოთა ოსეთის მწერლებმა ღირსეული ადგილი დაიკავეს თავიანთი სოციალისტური სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მწერლები ნ. გაგლოევი, გ. პლიევი, რ. ასაევი, გ. კაიტუკოვი, მ. ცაგარაევი, თ. ჯატიევი, ხ. პლიევი, ე. ბეკოევი, კ. კაზბეკოვი, პ. ფუხაევი და ბევრი სხვა უშუალო მონაწილეობას იღებდნენ სამამულო ომის ბრძოლებში.

სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მწერალთა ჯგუფი თბილისში. (მარცხნიდან): ფ. გაგლოევი, რ. ჩოჩიევი, რ. ასაევი, გ. ძუგაევი, ე. ბეკოევი, ვ. სანაკოევი, კ. კუროევი, ვ. გელაშვილი, გ. ჯატიევი.

ფოტო ვ. გინზბურგისა.

მამაცური სიკვდილით დაეცნენ ბრძოლის ველზე მწერლები მ. კოჩისოვი, გ. ხამიცოვი, ა. ბეკოევი, ხ. კალოევი, ბ. ტეხოვი, მ. ელეკოევი...

ზურგში დარჩენილმა მწერლებმა აქტიური შემოქმედებითი მუშაობა გააჩაღეს. ისინი წერდნენ ფრონტის საგმირო საქმეებზე, ზურგში გმირულ შრომაზე და საბჭოთა ადამიანებს ახალი წარმატებებისათვის აღაფრთოვანებდნენ.

ომის წლებში თეატრი იქცა შესანიშნავ ტრიბუნად, რომლიდანაც მწერლები ყოველდღიურად ელაპარაკებოდნენ ფართო აუდიტორიას. ამიტომ იმ პერიოდში გაიზარდნენ ისეთი გამოჩენილი დრამატურგები, როგორც დ. თუაევი, გ. ჯიმიევი, მ. შავლოხოვი, რომელთა ნაწარმოებები ომის შემდეგაც არ შორდება სცენას.

სამამულო ომის წლებში დ. მამსუროვმა დაამთავრა თავისი დიდი რომანის „პოემა გოლიათების შესახებ“ პირველი წიგნი. რ. ჩოჩიევმა დაწერა მთელი რიგი მოთხრობები და ფელეტონები ომის თემაზე. ბ. ბოციევმა დაამთავრა პოემა „პარტიზანი ბიბო“.

თ. ჯატიევის მოთხრობები „ოსის ღირსება“ და „ზღვის მოჯირითე“, ე. ბეკოევის „ნართების შთამომავალი“ და „წყარო“, რ. ჩოჩიევის „სიკვდილზე ძლიერი“, მ. ცაგარაევის „ხურო საგო“ და „პლიევის კავალერისტები“, ნ. გაგლოევის რომანი „მხარდამხარ“, გ. პლიევის, გ. კაიტუკოვის, გ. ძუგაევის, ნ. ჯუსოევის, რ. ასაევის, კ. მარგიევის, ბ. მურთაზოვის და სხვა პოეტების ომისდროინდელი კრებულები მნიშვნელოვან წვლილს შეადგენენ ოსურ მხატვრულ ლიტერატურაში.

ომის შემდეგ ლიტერატურაში მოვიდნენ ახალი კადრები. გამოჩდნენ ახალი პროზაიკოსები, პოეტები, დრამატურგები. მათ შორის გამოირჩევიან პოეტები ა. ცარუკაევი, მ. გაბულოვი, თ. ბალაევი, დრამატურგები ვ. სანაკოევი, ა. ტოკაევი, რ. ხუბეცოვა, ს. გაზაევი, ს. ხაჩიროვი, პროზაიკოსები ე. ურუმაგოვა და დ. ჯიოევი, რომელთა რომანებმა „ცხოვრების პირისპირ“ და „უძლეველი ძალა“ ფართოდ გაითქვეს სახელი ოსეთის ფარგლებს გარეთაც. შემოქმედებითი მუშაობა განავითარა ნარკვევების მწერალმა ვ. გოლოევმა.

უკანასკნელ წლებში ოსი მწერლების რიგები შეივსო ნიჭიერი ახალგაზრდა კადრებით, რომელთაგან განსაკუთრებით გამოირჩევიან ვ. გაგლოევი, ჯ. ფარნიევი, მ. ნართიკოევი, გ. ბესტაევი, ხ. ძუცოვი, ი. ცხოვრებოვი, ე. თედეევი, მ. გუჩმაზოვი, ვ. ცხოვრებოვი, ა. ფუხაევი, ხ. ჯიოევი, გ. გაგიევი, ჩ. კულაევი და სხვები.

ოსურ ლიტერატურაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა ნაწარმოებებს ისტორიულ თემებზე. ისტორიულ თემაზე დაწერილი ნაწარმოებებიდან გამოირჩევიან ე. ბეკოევის რომანი „ფატმა“, დ. ჯიოევის — „ილიკო“, თ. ბესაევის — „იმედი“, გ. პლიევის პიესა — „ჩერმენი“, ვ. სანაკოევის — „ტატე“, ს. კაიტოვის — „თაიმურაზი“, რ. ჩოჩიევის — „მზის ამოსვლის წინ“, ნ. ჯუსოევის — „აზაუ და თაიმურაზი“.

პარტიის XX ყრილობის შემდეგ ლიტერატურული ცხოვრება გამდიდრდა ახალი თემებით. ახლა ოსური საბჭოთა ლიტერატურა აღმავლობის გზაზეა. ამას მოწმობს არა მარტო ბევრი ახალი ღირსშესანიშნავი ნაწარმოები, არამედ აგრეთვე ოსეთის ლიტერატურისა და ხელოვნების დეკადა თბილისში.

ფ. გაგლოევი,
საქართველოს მწერალთა კავშირის სამხრეთ ოსეთის განყოფილების პასუხისმგებელი მდივანი.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმების შესახებ

ამჟამად საფრანგეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, იტალიის, ბელგიის, ჰოლანდიისა და ლუქსემბურგის მთავრობები ამზადებენ დასავლეთ ევროპაში შექმნან ორი ახალი კარდახშული ორგანიზაცია — აღნიშნული ექვსი ქვეყნის „გაერთიანება“ ატომის ენერგიის დარგში (ეგრეთწოდებული ევრატომი) და „საერთო ბაზარი“, რომლის ჩარჩოებში განზრახულია თანდათანობით გაუქმდეს საბაჟო გადასახდელები, რომლებიც ზღუდავენ თვითეული ამ ქვეყნის ეკონომიკას, მოხდეს მუშახელისა და კაპიტალების „თავისუფალი“ გადაადგილება და მონაწილე ქვეყნების მიერ საფრანგეთის, ბელგიისა და ჰოლანდიის კოლონიურ სამფლობელოთა გაერთიანებული ექსპლოატაცია.

იმის გამო, რომ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმები, რომლებიც ეხება ევროპის ყველა ქვეყნისათვის დიდმნიშვნელოვან ეკონომიური თანამშრომლობისა და ატომის ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის პრობლემებს, ითვალისწინებენ ისეთ ღონისძიებებს, რომელთა განხორციელება გამოიწვევს ევროპის ხალხებისთვის საშიშ შედეგებს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს დავალებული აქვს განაცხადოს შემდეგი.

საბჭოთა კავშირი მუდამ ემხრობოდა და ემხრობა საერთაშორისო ეკონომიური თანამშრომლობის ყოველი ღონისძიებით განვითარებას, მათ შორის ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში, ემყარება რა იმას, რომ აღნიშნული თანამშრომლობა შეესაბამება ყველა ქვეყნის ინტერესებს, განამტკიცებს ხალხთა შორის ნდობას, ქმნის მტკიცე საფუძველს სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობისათვის.

საბჭოთა კავშირი განსაკუთრებით დიდ მნიშვნელობას ანიჭებს ასეთ თანამშრომლობას ევროპაში სრულიად ევროპის საფუძველზე, რადგან იგი ხელს შეუწყობს ერთმანეთისადმი დაპირისპირებულ სამხედრო დაჯგუფებებად ევროპის იმ გათიშვის დაძლევას, რომელიც შედეგია დასავლეთის სახელმწიფოთა პოლიტიკისა, და ხელს შეუწყობს მშვიდობის განმტკიცებას ევროპაში.

ევროპის ქვეყნებში ატომის ენერგიის მშვიდობიანი წარმოების ფართო მასშტაბით გაჩაღება ხელსაყრელ პერსპექტივებს შეუქმნიდა ეკონომიკის, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებას, ხალხთა კეთილდღეობის გაუჯობესებას. იმ უდიდეს შესაძლებლობათა გამოყენება, რომლებსაც ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენება იძლევა, რა თქმა უნდა, მოითხოვს შესაბამისი საწარმოო და სამეცნიერო-ტექნიკური ბაზის შექმნას და სახელმწიფოების ღონისძიებათა გაერთიანებას ატომის ენერგიის ფართო სამრეწველო წარმოების ორგანიზაციის საქმეში. ამიტომ საბჭოთა მთავრობა ჯეროვანი გაგებით ეკიდება ევრატომის სხვადასხვა სახელმწიფოთა, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოთა მისწრაფებას, რომლებსაც არა აქვთ საკმაო რესურსები და ტექნიკური გამოცდილება ამ დარგში სამუშაოთა განსახორციელებლად, მისწრაფებას გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი და შესაძლებლობანი ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში და გამოიყენონ სამეცნიერო-ტექნიკური გამოცდილება, რომელიც სხვა ქვეყნებმა შეიძინეს.

ასევე საბჭოთა მთავრობას ესმის ევროპის ქვეყნების დაინტერესება ყველა სხვა დარგში ფართო ეკონომიური თანამშრომლობის მოგვარებითაც. ევროპის ქვეყნებს შორის ეკონომიური თანამშრომლობის გაფართოება უაღრესად კეთილსასურველ გავლენას მოახდენდა ამ ქვეყნების ეკონომიკის განვითარებაზე, დასაქმების გადიდებაზე, მოსახლეობის ცხოვრების დონის ამაღლებაზე, დადებით გავლენას მოახდენდა მთლიანად მსოფლიო ეკონომიურ მდგომარეობაზე. სრულიად ევროპის საფუძველზე ეკონომიური თანამშრომლობა ხელს შეუწყობდა დარღვეული ტრადიციული სავაჭრო და სამეცნიერო-ტექნიკური კავშირის აღდგენას, გადალახავდა ხელოვნურ დაბრკოლებებსა და შეზღუდვებს სავაჭრო და სხვა ეკონომიური ურთიერთობის დარგში, ერთმანეთთან დაუახლოებდა ევროპის სახელმწიფოებს, განუმტკიცებდა ევროპის ხალხებს უშიშროების გრძნობას და ხვალინდელი დღის რწმენას.

მაგრამ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმები აშკარად ეწინააღმდეგება ამ მიზნებს. უწინარეს ყოვლისა ყურადღებას იპყრობს ის ფაქტი, რომ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ ყველა მონაწილენი ნატოს სამხედრო დაჯგუფების წევრები არიან. ცხადია, რომ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ მთელი საქმიანობა დაექვემდებარება ნატოს მიზნებს, რომელთა აგრესიული ხასიათი ფართოდ არის ცნობილი.

ამ პირობებში ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმების განხორციელება გარდუვალად გამოიწვევს ევროპის გათიშვის შემდგომ გაღრმავებას, ევროპაში დაძაბულობის გაძლიერებას, ბევრად გააძნელებს ეკონომიური და პოლიტიკური თანამშრომლობის მოწესრიგებას სრულიად ევროპის საფუძველზე, გამოიწვევს ახალი სიძნელეების წარმოშობას ევროპის უშიშროების პრობლემის გადაჭრის საქმეში.

წარმოიშობა აგრეთვე ახალი სერიოზული დაბრკოლებები გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენის გზაზე, რადგან დასავლეთ გერმანია კიდევ უფრო ღრმად ჩაბმული აღმოჩნდება დასავლეთის იმ სახელმწიფოთა კარდახშულ სამხედრო დაჯგუფებათა სისტემაში, რომლებიც უპირისპირდებიან ევროპის სხვა სახელმწიფოებს. ამასთან დაკავშირებით საჭიროა აღინიშნოს ის გასაგები შეშფოთება, რომელიც დასავლეთ გერმანიის სოციალ-დემოკრატიული პარტიის სახელით გამოთქვა მისმა თავმჯდომარემ ოლენჰაუერმა თავის ამა წლის 6 მარტის განცხადებაში, როცა აღნიშნა გერმანელი ხალხისათვის მთელი რიგი საშიში შედეგები, რომლებიც გამომდინარეობენ ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმებიდან.

დასავლეთის ქვეყნების ზოგიერთი ხელმძღვანელი მოღაწის მტკიცება, რომ ევრატომი და „საერთო ბაზარი“ იმუშავებენ მხოლოდ მონაწილე ქვეყნების მშვიდობიანი თანამშრომლობის საკითხებზე, სხვა არა არის რა, თუ არა მათი ორგანიზატორებისა და სულისჩამდგმელების ნამდვილი ზრახვების დაფარვა. არ შეიძლება დავივიწყოთ, რომ შეერთებული შტატების გარკვეული წრეები, რომლებიც აქტიურად უჭერენ მხარს ევრატომის შექმნას, ცდილობენ რაც შეიძლება მალე აღორძინონ გერმანიის მილიტარიზმი და აღჭურვონ დასავლეთ გერმანიის არმია, რომელიც იქმნება, ყველა სახეობის თანამედროვე იარაღით, მათ შორის ატომური იარაღით. როგორც ცნობილია, ამერიკის შეერთებული შტატების წარმომადგენელთა ინიციატივით, გადაწყვეტილება ამის შესახებ მიღებულ იქნა ნატოს საბჭოს სესიაზე 1956 წლის დეკემბერში. ევრატომის შექმნა პრაქტიკული ნაბიჯი იქნება ხალხებისათვის ამ საშიში აგრესიული გეგმების რეალიზაციის საქმეში.

არ შეიძლება ეჭვი ვიქონიოთ, რომ დასავლეთ გერმანიის რევანშისტული წრეები არ დაიყოვნებენ გამოიყენონ ევრატომი ატომური მასალებისა და ნედლეულის დასაგროვებლად, რათა რაც შეიძლება მალე დაიწყონ საკუთარი ატომგულის იარაღის კეთება. ამრიგად, ევრატომის შექმნა გზას გაუკაფავს გერმანიის მილიტარიზმს ახალი სამხედრო ავანტიურების მოსამზადებლად; ევროპის ცენტრში კვლავ შეიქმნება შფოთის ახალი კერა. ამასთან დაკავშირებით საჭიროა კვლავ გავიხსენოთ, რომ დასავლეთ გერმანიის არმიის აღჭურვას ატომგულის იარაღით შეიძლება მოჰყვეს სერიოზული შედეგები უწინარეს ყოვლისა თვით დასავლეთ გერმანიის მოსახლეობისათვის, რომელიც შეიძლება გახდეს საბასუხო ატომური დარტყმის ობიექტი.

რაც შეეხება დასავლეთ ევროპის ზოგიერთი ქვეყნის მმართველი წრეების ვარაუდს გამოიყენონ ევრატომი როგორც კონტროლის საშუალება დასავლეთ გერმანიაში ატომის ენერგიის წარმოებისადმი, ასეთი ვარაუდი, როგორც გამოცდილება გვიჩვენებს, მოკლებულია საფუძველს. კარგად ცნობილია, რომ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანების შექმნისას საფრანგეთის მთავრობა, ცდილობდა რა უზრუნველეყო ამ გაერთიანების შექმნის ხელშეკრულების რატიფიკაცია საფრანგეთის პარლამენტის მიერ, აგრეთვე აცხადებდა, რომ ამ გაერთიანების მეშვეობით შეიძლება განხორციელდეს კონტროლი დასავლეთ გერმანიის სამხედრო-სამრეწველო პოტენციალისადმი. ცდილობდა რა მიეღწია პარიზის შეთანხმებათა რატიფიკაციისათვის, საფრანგეთის მთავრობა ამტკიცებდა, რომ ეს შეთანხმებები იქნებოდა დასავლეთ გერმანიისადმი სამხედრო კონტროლის განხორციელების საშუალება. ახლა ყველასთვის ცხადია, რომ ყველა ეს ვარაუდი ილუზორული აღმოჩნდა. ევრატომის შექმნა — სურთ ეს თუ არა სურთ — გარდუვალად გამოიწვევს ყოველგვარი შეზღუდვის მოხსნას დასავლეთ გერმანიაში ატომური იარაღის წარმოების დარგში, რაც პირდაპირ საფრთხეს შეუქმნის საფრანგეთის ხალხს, ისევე როგორც დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ხალხებს.

არანაკლებ უნიადაგოა საფრანგეთის, იტალიისა და დასავლეთ ევროპის სხვა სახელმწიფოთა ზოგიერთი წრეების ვარაუდი, რომ ევრატომის შექმნა ხელს შეუწყობს ამერიკის შეერთებულ შტატებზე ამ ქვეყნების ეკონომიური დამოკიდებულების შესუსტებას. პირიქით, ამერიკის შეერთებულ შტატებზე მათი დამოკიდებულება კიდევ უფრო გაძლიერდება ამ დაჯგუფების მონაწილე ქვეყნების ეროვნული სუვერენიტეტის საზიანოდ, რადგან ამერიკის შეერთებული შტატები, ამას კი არავინ არ მალავს, ნამდვილად კონტროლს გაუწევენ ევრატომს, გამოვლენ რა ხლეჩადი მასალებისა და ატომის მრეწველობისათვის მოწყობილობის ძირითად მიმწოდებლად ევრატომის ქვეყნებში. შემთხვევითი როდია, რომ ინგლისში გავლენიანი წრეები ილაშქრებენ იმის წინააღმდეგ, რომ ინგლისი შეუერთდეს ევრატომს, ითვალისწინებენ რა იმას, თუ რა შედეგებს გამოიწვევდა ინგლისისათვის ევრატომში მონაწილეობა.

„საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმა აგრეთვე სერიოზულ საფრთხეს წარმოადგენს ევროპის ქვეყნების ხალხებისათვის. მასი რეალიზაცია იმის მომასწავებელი იქნება, რომ ეკონომიურად უფრო ძლიერ სახელმწიფოებს, ნამდვილად კი შესაბამის მსხვილ მონოპოლიებს, შესაძლებლობა ექნებათ „საერთო ბაზრის“ ჩარჩოებში, ისევე როგორც ევრატომის ჩარჩოებში, თავს მოახვინონ თავიანთი პირობები ევროპის უფრო სუსტ სახელმწიფოებს ამ უკანასკნელთა საარსებო ეროვნული ინტერესების საზიანოდ. „საერთო ბაზრის“ პროექტი განსაკუთრებით ხელსაყრელია დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებისათვის, რასაც ამ პროექტის ყველაზე თავგამოდებული დამცველებიც კი არ უარყოფენ. ამასთან დაკავშირებით სასარგებლოა გავიხსენოთ, რომ ადრე შექმნილ ევროპის ქვანახშირისა და ფოლადის გაერთიანებაში, რომლის მონაწილეა აგრეთვე იგივე ექვსი სახელმწიფო, დასავლეთ გერმანიის მონოპოლისტურმა კონცერნებმა უკვე მიაღწიეს გაბატონებულ როლს გაერთიანების სხვა მონაწილეთა ინტერესების საზიანოდ. ეჭვი არ არის, რომ „საერთო ბაზრის“ შექმნას მოჰყვება საფრანგეთისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების დაქვემდებარება გერმანიის მონოპოლისტების ეკონომიური ჰეგემონიისადმი, განაიარაღებს ამ ქვეყნებს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტებისა და რევანშისტების წინაშე.

ყველა ამ გეგმამ არ შეიძლება არ გამოიწვიოს ხალხთა დიდი შეშფოთება, მათ შორის თვით დასავლეთ გერმანიაშიც, სადაც არიან ძალები, რომლებიც ილაშქრებენ აღნიშნული გეგმების წინააღმდეგ, გამოთქვამენ კანონიერ შიშს იმ შედეგების გამო, რომლებიც შეიძლება მოჰყვეს მათს რეალიზაციას დასავლეთ გერმანიისათვისაც.

დასავლეთ ევროპის ქვეყნების ზოგიერთი არაშორსმჭვრეტელი პოლიტიკოსი ამტკიცებს, თითქოს „საერთო ბაზრის“ შექმნა საშუალებას მისცემს მის მონაწილეებს გამოვიდნენ თანასწორუფლებიან პარტნიორებად ეკონომიურ ურთიერთობაში ამერიკის შეერთებულ შტატებთან. მაგრამ თუ ფაქტების ნიადაგზე დავდგებით, ასეთი ვარაუდების უსაფუძვლობა სავსებით ცხადია. ფართოდ ცნობილია, რომ ომისშემდგომ წლებში ამერიკის კაპიტალი კიდევ უფრო ღრმად შეიჭრა საფრანგეთის, დასავლეთ გერმანიის, იტალიისა და დასავლეთ ევროპის სხვა ქვეყნების ეკონომიკაში. ამჟამად თვითეულ ამ ქვეყანაში აქტიურად მოქმედებს ათობით ფილიალი ამერიკის უდიდესი მონოპოლიებისა და კორპორაციებისა, ისეთებისა, როგორიც არიან „ჯენერალ მოტორსი“, „ფორდი“, „სტანდარდ ოილი“, „დიუპონ დე ნემური“ და სხვები. ცხადია, რომ ამერიკის მონოპოლიები და კორპორაციები „საერთო ბაზარს“ გამოიყენებენ თავიანთი სარგებლობისათვის საფრანგეთის, იტალიისა და სხვა მონაწილე ქვეყნების ეროვნული მრეწველობის ინტერესების საზიანოდ.

ვერავინ ვერ უარყოფს იმ უდავო ფაქტს, რომ კაპიტალისტურ სამყაროში სარგებლობისა და მოგების განაწილება კონკურენტთა შორის წარმოებს იმ ძალის მიხედვით, რომელსაც კაპიტალის სიდიდე განსაზღვრავს, ხოლო ასეთი ძალა უწინარეს ყოვლისა ამერიკისა და დასავლეთ გერმანიის მსხვილი მონოპოლიების მხარეზეა.

საფრანგეთში „საერთო ბაზრის“ მომხრენი, ცდილობენ რა მიაღებინონ აღნიშნული გეგმა და მიაღწიონ მის მოწონებას საფრანგეთის პარლამენტის მიერ, შემდეგ აცხადებენ, თითქოს „საერთო ბაზრის“ შექმნა შეესაბამება ფრანგი ხალხის ინტერესებს. სინამდვილეში კი საქმე სულ სხვანაირად არის. საფრანგეთში „საერთო ბაზრის“ მომხრენი დუმილით უვლიან გვერდს იმ ფაქტს, რომ საფრანგეთი ამ გაერთიანებაში შესვლით კარგავს მოქმედების თავისუფლებას სავაჭრო ურთიერთობაში არა მარტო თავის პარტნიორებთან, არამედ სხვა ქვეყნებთანაც, რადგან ურთიერთობას ამ ქვეყნებთანაც მოაწესრიგებენ „საერთო ბაზრის“ ხელმძღვანელი ორგანოები, მაშასადამე, მისი ყველაზე ძლიერი მონაწილეები. ფრიად დამახასიათებელია, რომ ინგლისში და ევროპის მთელ რიგ სხვა სახელმწიფოებში გავლენიან წრეებს სრულიადაც არა აქვთ ილუზიები იმ შედეგების გამო, რომლებსაც გამოიწვევს მათთვის „საერთო ბაზარში“ მონაწილეობა.

იტალიაში „საერთო ბაზრის“ მომხრენი ამტკიცებენ, რომ მისი შექმნით წარმოიშობა ვითომდა ხელსაყრელი პირობები ქრონიკული უმუშევრობის პრობლემის გადასაჭრელად, უმუშევრობისა, რომლისთვისაც, იტალიის ოფიციალური ცნობებით, იტალიაში განუწესებლივ განწირულია 2 მილიონზე მეტი კაცი. სავსებით შესაძლებელია, რომ იტალიის მთავრობა ნამდვილად ცდილობს თავიდან მოიშოროს უმუშევართა ნაწილი „საერთო ბაზრის“ სხვა ქვეყნებში მათი გაგზავნის გზით. მაგრამ განა შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს იმას, რომ იქ იტალიელებს გამოიყენებენ, რასაც არსებული გამოცდილება მოწმობს, ყველაზე მძიმე, საშიშ და დაბალხელფასიან სამუშაოებზე, რომ ისინი აღმოჩნდებიან გერმანიისა და უცხოეთის სხვა მონოპოლიების თვითნებობაზე სავსებით დამოკიდებულნი. საეჭვოა იტალიაში უმუშევრობის საკითხის გადაჭრა ეწოდოს ისეთი მდგომარეობის, როცა ორი მილიონი იტალიელის კეთილდღეობა დამოკიდებული იქნება საზღვარგარეთიდან მოთხოვნილებაზე.

„საერთო ბაზრის“ ორგანიზატორებს შეცდომაში შეჰყავთ საზოგადოებრივი აზრი, როცა ამტკიცებენ, თითქოს „საერთო ბაზარი“ საერთოდ გამოიწვევს მონაწილე ქვეყნების ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებას. კარგად ცნობილია, რომ მსხვილი მონოპოლიების გეგმები ნაკარნახევია არა ზრუნვით ხალხთა ცხოვრების პირობების გაუმჯობესებისათვის, არამედ დიდი მოგების მიღების ვიწრო ანგარიშით. „საერთო ბაზრის“ ჩარჩოებში საბაჟო გადასახდელების განზრახული გაუქმებით გამდიდრდებიან მხოლოდ მსხვილი მონოპოლიური გაერთიანებანი, რომლებიც დამატებით მოგებას ჩაიჯიბავენ. „საერთო ბაზარზე“ კონკურენტული ბრძოლის გამწვავების პირობებში, საბაჟო გადასახდელების გაუქმებისას, მშრომელთა, განსაკუთრებით მუშათა კლასის, მატერიალური მდგომარეობა შეიძლება მხოლოდ გაუარესდეს, რადგან მონოპოლიები ამ ბრძოლის ყველა სიძნელეს გადაჭრიან მშრომელთა ძარცვით, გადასახადების გადიდებით, ფართო მოხმარების საქონლის ფასების გადიდებით და სხვ.

ამიტომ იბადება კანონიერი კითხვა — ვისთვისღაა ხელსაყრელი ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმები, რა მიზნებისათვის ადგენენ ამ გეგმებს, ვინ ფიქრობს მოიმკას მათი ნაყოფი? შეესაბამება თუ არა ეს გეგმები იმათ ინტერესებს, ვინც ისწრაფვის განამტკიცოს მშვიდობა და უშიშროება ევროპაში, გააჯანსაღოს საერთაშორისო ვითარება, გაუმჯობესოს ევროპის ქვეყნების მშრომელთა მატერიალური პირობები? ამ კითხვაზე პასუხი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთი — ეს გეგმები მოწოდებულია ემსახურებოდეს დასავლეთის ქვეყნების იმ წრეების ინტერესებს, რომლებსაც სურთ შეაიარაღონ გერმანელი რევანშისტები ატომგულის იარაღით, გაამწვავონ ურთიერთობა ევროპის ქვეყნებს შორის, შექმნან ახალი დაბრკოლებები ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების უზრუნველყოფის გზაზე, კიდევ უფრო გაამძლავრონ გერმანელი ხალხის ეროვნული ერთიანობის აღდგენა, ემსახურებოდეს იმათ ინტერესებს, ვინც ცდილობს მოუსპოს საფრანგეთსა და დასავლეთ ევროპის ხხვა ქვეყნებს ეროვნული სუვერენიტეტი, დაუმორჩილოს მათი ეკონომიკა დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებს და ხელი შეუშალოს სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის მოწესრიგებას.

საბჭოთა კავშირი ღრმად დარწმუნებულია, რომ იმ ეკონომიური პრობლემების ნამდვილი გადაწყვეტა, რომლებიც ეხება ევროპის თვითეული ქვეყნის ინტერესებს, ისევე როგორც მთლიანად ევროპის ქვეყნების ეკონომიური თანამშრომლობის და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში მათი თანამშრომლობის პრობლემის გადაწყვეტა, არ შეიძლება გამოინახოს ქვეყნების ამა თუ იმ ჯგუფის ახალ კარდახშულ ორგანიზაციათა შექმნის საფუძველზე, რომლებიც უპირისპირდებიან ევროპის სხვა ქვეყნებს.

ეს გადაწყვეტა შეიძლება გამოინახოს და კიდეაც უნდა გამოინახოს სრულიად ევროპის საფუძველზე სრულიად ევროპის ხასიათის უკვე არსებულ ორგანიზაციათა გამოყენების ან სრულიად ევროპის ახალ ორგანიზაციათა შექმნის გზით ევროპის ყველა სახელმწიფოსათვის მისაღები პირობებით, მიუხედავად მათი სოციალური წყობილებისა.

ამის მიხედვით, საბჭოთა კავშირმა უკვე წამოაყენა მთელი რიგი წინადადებანი სრულიად ევროპის ნამდვილი თანამშრომლობის მოსაწესრიგებლად:

1. 1956 წლის აპრილში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XI სესიაზე საბჭოთა კავშირმა შეიტანა წინადადება შეიქმნას ამ კომისიის ჩარჩოებში ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების საკითხთა ორგანო. ეს წინადადება შეტანილია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XII სესიის დღის წესრიგში, რომელიც ამა წლის 29 აპრილს გაიხსნება.

თავის 1956 წლის 12 იელისის განცხადებაში „ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში სრულიად ევროპის თანამშრომლობის შესახებ“ საბჭოთა მთავრობამ წამოაყენა წინადადება მოწვეულ იქნას ევროპის ქვეყნების კონფერენცია ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სრულიად ევროპის ორგანიზაციის შექმნის საკითხის განსახილველად, მხედველობაში ჰქონდა რა, რომ ეს ორგანიზაცია იქნებოდა ატომის ენერგიის საერთაშორისო სააგენტოს რეგიონალური განყოფილება. საბჭოთა მთავრობის აზრით, ასეთი ორგანიზაცია შეიძლება შეიქმნას სამთავრობათაშორისო საფუძველზე და მასში მონაწილეობა მიიღოს ევროპის ყველა მსურველმა სახელმწიფომ, აგრეთვე ამერიკის შეერთებულმა შტატებმა.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების სრულიად ევროპის რეგიონალური ორგანიზაცია, რომლის შექმნის წინადადებას საბჭოთა კავშირი იძლევა, მიმართული არ იქნება რომელიმე სახელმწიფოს ან სახელმწიფოთა ჯგუფის წინააღმდეგ, არ შელახავს ვისიმე ეროვნულ ინტერესებს.

ატომის ენერგიის სრულიად ევროპის რეგიონალური ორგანიზაციის ჩარჩოებში თანამშრომლობა, უეჭველია, ხელს შეუწყობდა ევროპის თვითეული ქვეყნის პროგრესს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების საქმეში და ხელს შეუწყობდა ევროპის ხალხთა ცხოვრების დონის ამაღლებას, თუ აღარაფერს ვიტყვით იმაზე, რომ იგი იქნებოდა ევროპაში მთლიანად ვითარების გაჯანსაღების დიდმნიშვნელოვანი საშუალება.

ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში სრულიად ევროპის თანამშრომლობის მოწესრიგება ბევრად შეუწყობდა ხელს თანამედროვეობის უაღრესად საარსებო ამოცანის გადაჭრას — ატომური და წყალბადის იარაღის, როგორც მასობრივი მოსპობის იარაღის, აკრძალვას.

ხელმძღვანელობს რა ხურვილით ხელი შეუწყოს ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში სრულიად ევროპის თანამშრომლობის პრობლემის დადებითად გადაჭრას, საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება განხილულ იქნას დამატებითი საკითხები, რომლებიც ამ პრობლემას ეხება, მათ შორის:

(ა) ატომის ენერგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ან ინსტიტუტების შექმნა სრულიად ევროპის საფუძველზე;

(ბ) თანამშრომლობა სამრეწველო და სამეცნიერო-ტექნიკური მიზნით ატომის ენერგიის წარმოების საწარმოთა შექმნაში, მათ შორის ამ საწარმოთა ნედლეულით უზრუნველყოფასთან დაკავშირებული საკითხები.

თავისთავად იგულისხმება, რომ სრულიად ევროპის საფუძველზე თანამშრომლობის გაჩაღებისას ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში ევროპის ქვეყნებს შესაძლებლობა მიეცემათ გამოიყენონ საბჭოთა კავშირის შესაბამისი გამოცდილებაც.

2. რაც შეეხება სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის საკითხს, საბჭოთა მთავრობამ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის ამავე XI სესიაზე 1956 წლის აპრილში კომისიის წევრ სახელმწიფოთა განსახილველად შეიტანა წინადადება დაიდოს „სრულიად ევროპის შეთანხმება ეკონომიური თანამშრომლობის შესახებ“, რომელიც ითვალისწინებს უფრო ხელსაყრელი პირობების შექმნას ევროპისშიდა ვაჭრობის განვითარებისათვის, ტრანსპორტის დარგში თანამშრომლობისათვის, სამეცნიერო-ტექნიკურ თანამშრომლობას და მრწყინავე საწარმოო გამოცდილების გაცვლას. საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოდგენილ შეთანხმების პროექტს განიხილავს აგრეთვე ევროპის ეკონომიური კომისიის XII სესია.

ამჟამად საბჭოთა მთავრობას შემოაქვს წინადადება დამატებით განხილულ იქნას შემდეგი საკითხები:

(ა) თანამშრომლობა დიდ ჰიდროენერგეტიკულ ნაგებობათა მშენებლობაში, რომლებიც საინტერესოა მთელი რიგი ქვეყნებისათვის, ამ ქვეყნების თანხმობითა და მონაწილეობით;

(ბ) თანამშრომლობა ევროპის სათბობ-ენერგეტიკული ბაზის განვითარებაში, ამასთან ევროპის ბევრი სახელმწიფოს სათბობის ბალანსში დაძაბულობის აღმოფხვრა;

(გ) ევროპის ყველა დაინტერესებულ ქვეყანას შორის შეთანხმებათა დადება მათ შორის ვაჭრობის გაადვილების ღონისძიებათა შესახებ;

(დ) სახელმწიფოთა მიერ ურთიერთ ეკონომიური და ფინანსური დახმარების გაწევა ეკონომიური განვითარებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

საბჭოთა მთავრობა მზად არის განიხილოს აგრეთვე ყველა სხვა წინადადება სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის, ისევე როგორც ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის პრინციპებისა და ფორმების შესახებ.

სსრ კავშირის მთავრობას მიაჩნია, რომ ზემოთ მოყვანილი წინადადებანი სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობისა და ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში თანამშრომლობის საკითხებზე შეიძლება განხილულ იქნას გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის XII სესიაზე.

საბჭოთა მთავრობას იმედი აქვს, რომ ყველა დაინტერესებული ქვეყნის მთავრობები ჯეროვანი ყურადღებით მოეპყრობიან საბჭოთა კავშირის წინადადებებს სრულიად ევროპის ეკონომიური თანამშრომლობის და ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენების დარგში თანამშრომლობის საკითხებზე.

• • •

1957 წლის 16 მარტს „სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს განცხადება ევრატომისა და „საერთო ბაზრის“ შექმნის გეგმების შესახებ“ გაეგზავნა ევროპის ქვეყნების მოსკოვში საელჩოებსა და მისიებს, ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს სსრ კავშირში, აგრეთვე გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ევროპის ეკონომიური კომისიის აღმასრულებელ მდივანს.

იმავე დღეს გაიმართა პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოელი კორესპონდენტებისა, რომლებსაც გააცნეს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ზემოაღნიშნული განცხადება.

პოლონეთის მთავრობის დელეგაცია აზიის ქვეყნებში გაემგზავრა

ვარშავა, 17 მარტი. (საკუთარი). ვარშავიდან აზიის ქვეყნებში ოფიციალური ვიზიტით თვითმფრინავით „ტუ-104“ გაემგზავრა პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე იოზეფ ცირანკევიჩი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან: კულტურისა და ხელოვნების მინისტრი კ. კურილიუკი, მსუბუქი მრეწველობის მინისტრი ე. სტავინსკი, საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე მ. ნაშკოვსკი, უმაღლესი განათლების მინისტრის მოადგილე ეუგენია კრასოვსკაია, საგარეო ვაჭრობის მინისტრის მოადგილე ფრანციშეკ მოჯევსკი, საგარეო საქმეთა სამინისტროს კოლეგიის წევრი იულიუშ კაცსუხი. დელეგაციის შემადგენლობაში შედიან აგრეთვე სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილეები მეჩისლავ ლეში და ბოლესლავ სტრუჟეკი, რომლებიც დელეგაციას უფრო გვიან შეუერთდებიან. აღნიშნულ პირთა გარდა, დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩები იმ ქვეყანაში, სადაც დელეგაცია იქნება.

დელეგაციას ახლავან პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე ედვარდ ბარტოლი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს აღმოსავლეთის განყოფილების გამგე ედვარდ სლუჩანსკი, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის კაბინეტის დირექტორი ანტონი მრუგალსკი, დელეგაციის მდივნები — ევგენი კულაგა, კლემენს დუნინ-კეპმლიჩი, იან ჯურეცკი, სხვა პირები, აგრეთვე პოლონელ ჟურნალისტთა ჯგუფი.

ვნუკოვოს აეროდრომზე, რომელიც მორთული იყო პოლონეთის სახალხო რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციას შეხვდნენ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე ჟ. ზ. საბუროვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე ა. ვ. ზახაროვი, მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ნ. ი. ბობროვნიკოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სამოქალაქო საჰაერო ფლოტის მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე ე. ძ. ბელეკიკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროპის მეოთხე განყოფილების გამგე ა. ი. გორჩაკოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს საოქმო განყოფილების გამგე თ. თ. მოლოჩკოვი, სხვა ოფიციალური პირები, საბჭოთა და პოლონელი ჟურნალისტები.

შეხვედრთა შორის იყვნენ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ტადეუშ გედე, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლიუ სიაო, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში სანჟიინ ბატა, კამბოჯის ელჩი სსრ კავშირში ლენგ ნგეტი, ბირმის კავშირის ელჩი სსრ კავშირში უ ჩინი, კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ელჩი სსრ კავშირში ლი სინ ფხარი, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის დროებით საქმეთა რწმუნებული სსრ კავშირში ნგუენ ტიენგი, ამ საელჩოების თანამშრომლები.

მოკლე ხნის დასვენებისა და შეხვედრებთან საუბრის შემდეგ პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის დელეგაციის წევრები გაემგზავრნენ ტაშკენტში, სადაც რამდენიმე საათს დარჩებიან, ხოლო შემდეგ ინდოეთით გაემგზავრებიან რანგუნში, საიდანაც დაიწყებენ თავიანთ მოგზაურობას აზი